ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## სალომე სამადაშვილი: „რუსეთთან დათმობის პოლიტიკამ კრახი განიცადა“



გვ.3

## 8 მარტიდან

60 ამბავი უცხოეთში დაკარგული ქართველები




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ხუთშაბათი, 8 მარტი, 2018

№56 (7601)

ფასი: 50 თეთრი

# „ილია II-მ მიგვანიშნა, რომ გამოუვალ მდგომარეობაშია“

რატომ გააქტიურდა საპატრიარქოში დასავლური ფრთა

გვ.4







## მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილის პრეზიდენტობა ქართულ პოლიტიკურ პროცესებს გააჯანსაღებდა“





გვ.3

## მეუფე გრიგოლი: „მრჩება შთაბეჭდილება, რომ მამა გიორგი მამალაძე გარემოების მსხვერპლია“





გვ.2

#მემოხუციარვარ

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK | ყველგან და ყველასთვის

## ლიბერთი ბანკის კამპანია #მემოხუციარვარ გრძელდება

საახალწლოდ დაწყებული სოციალური აქცია #მემოხუციარვარ, ლიბერთი ბანკმა გააგრძელა და 8 მარტს მთელი ქვეყნის მასშტაბით 12 მოხუცთა პანსიონატის 200-ზე მეტი ბენეფიციარი ქალბატონისთვის გაზაფხულის განსაკუთრებული დღე მოაწყო.

„მოხარულები ვართ, რომ ლიბერთი ბანკი ასეთ მასშტაბურ პროექტს აგრძელებს. დღეს, მოხუცთა პანსიონატის ბინადარ ქალბატონებს საჩუქრები და განსაკუთრებული სიურპრიზი დახვდათ: პროფესიონალმა სტილისტებმა ჩვენი ქალბატონები ლამაზი ვარცხნილობით და სადღესასწაულო მაკიაჟით გაანებივრეს. თითოეულ მათგანს, მართლაც რომ, ახალგაზრდობა გაახსენეს და გაზაფხულის ეს დღე გაულამაზეს. იცით, ლიბერთი ბანკი სწორედ იქ მოვიდა, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებათ სითბო და თანადგომა, – განაცხადა პანსიონატ „ბასილიადა“-ს ხელმძღვანელმა რუსუდან ბერიძემ.

„დღეს, მე ჩემს წარსულში დამაბრუნეს, როცა 8 მარტისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი. ახალგაზრდობა გავიხსენე... 96 წლის ქალს სარკეში ჩახედვის სურვილი დამიბრუნეს და ნამდვილი დღესასწაული მომიწყვეს“, – განაცხადა თავშესაფრის ყველაზე ასაკოვანმა ბინადარმა, ნინა მამფორიამ.

„ლიბერთი ბანკმა, ჩვენს პროფესიონალ სტილისტებთან ერთად, სპეციალურად მოგვიწვია, 8 მარტი რომ გაგველამაზებინა ამ ქალბატონებისთვის. ჩვენთვის დიდი პატივია#მემოხუციარვარ აქციაში მონაწილეობა“, – განაცხადა სილამაზის სალონ „Jungle Fever“-ის მენეჯერმა, მარიამ გოდერძიშვილმა.

### სამართალი

გვ.7

## გიორგი სანაიას საქმე – პროკურატურაში ვახო სანაიას დაკითხვა მიმდინარეობს





## მკვლელობა ხორავაზე – ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მოწმემ ჩვენება შეცვალა

### ეკონომიკა

გვ.6



## საქართველოში გლობალური ინტერნეტის მომწოდებელი მსხვილი კომპანიები შემოდიან




## ცემენტის მთლიანი ბაზრის 13% უხარისხოა

ISSN 1987-9385

**8** პუტინი ამ არჩევნებს სტალინთან მაგრად წააგებდა

**2** ანატოლი ბიბილოვმა რუსეთის პატრიარქი უარყო?

**5** რა კავშირი აქვს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გეოპოლიტიკასთან

**5** ზურაბ ხონელიძე: „სოხუმის უნივერსიტეტი საქართველოს გაერთიანებაში დიდ როლს შეასრულებს“

# მეუფე გრიგოლი: „მრჩება შთაბეჭდილება, რომ მამა გიორგი მამალაძე გარემოების მსხვერპლია“

შორენა მარსაგიშვილი





ციანიდის საქმე შესაძლოა თავდაყირა დადგეს. მამა გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით საპატრიარქო თავის დამოკიდებულებას აშკარად ცვლის. აქამდე თუ ისინი პროკურატურის მიმართ სრულ ნდობას გამოხატავდნენ, ახლა მათ პოზიცია შეცვალეს.

ცოტა ხნის წინ პატრიარქის ქორეპისკოპოსმა იაკობმა განაცხადა, რომ მას არ სჯერა მამა გიორგისთვის წარდგენილი ბრალდებების.

დეკანოზ მამალაძეს გარემოების მსხვერპლი უწოდა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა. მეუფე გრიგოლმა პატიმრობაში მყოფი მამა გიორგი გუშინ, 7 მარტს, მოინახულა. მათ შორის შეხვედრა 3 საათზე მეტი ხანი გაგრძელდა.

– მოგეხსენებათ, რომ მრევლისადმი ჩვენი მიმართვისას სწორედ რომ ვახსენეთ პრობლემა, რომელიც დეკანოზ გიორგი მამალაძეს უკავშირდებოდა, ე.წ. ციანიდის საქმეს. ბუნებრივია, რომ სურვილი გამიჩნდა, შევხვედროდი და პირადად მომესმინა მისგან ის, რისი თქმაც სურს. მეორეც, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პატიმრის მონახულება. ეს ძალიან კეთილი საქმეა.

რაც შეეხება საუბრის თემას, ეს არის სასულიერო პირსა და მორწმუნე ადამიანს შორის საუბარი, რომელიც დაცულია და პირადად მას რაიმე განცხადების გაკეთება არ უთხოვია. შესაბამისად, იმ საუბრის გამჟღავნება, რომელიც ჩვენ შორის შედგა, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია. მე არ ვიცი, ვინ რისი ჩამდენია, მაგრამ გამიჩნდა განცდა, რომ მამა გიორგი არის გარემოების მსხვერპლი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მეუფე გრიგოლმა.

მამა გიორგის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში იმედს გამოთქვამს, რომ მეუფე გრიგოლის განცხადებით საპატრიარქო დაინტერესდება.

– იმედი მაქვს, რომ მეუფე გრიგოლის განცხადების შემდეგ, საპატრიარქოში დაინტერესდებიან ამ საკითხით. მე არაერთხელ მოვუწოდე სასულიერო პირებს, შეხვედროდნენ და დალაპარაკებოდნენ მამა გიორგის. ვითხოვდი იმასაც, რომ მათ მოესმინათ ადვოკატებისთვის.

ამაზე იყო ძალიან დიდი წინააღმდეგობა. ჩვენ ერთხელ შევხვდით მხოლოდ სინოდის წარმომადგენლებს და ეს შეხვედრა არ დასრულდა კარგად. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ სრულად ენდობოდნენ პროკურატურას.

საბედნიეროდ, საპატრიარქომაც შეიცვალა პოზიცია, ისინი გამოფხიზლდნენ. გადახედეს სახალხო დამცველის დასკვნას და მიხვდნენ, რომ მამა გიორგი არის განწირული. მასთან შეხვედრის შემდეგ მეუფე გრიგოლი სრულად დარწმუნდა იმაში, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ამას პროკურატურა ამბობს, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში რამიშვილმა.

მისი თქმით, კარგი იქნება, თუ დეკანოზ გიორგი მამალაძეს სხვა მეუფეებიც მოინახულებენ.

– რაც მეტი მეუფე მოინახულებს და მოუსმენს მამა გიორგის, მით მეტი სასულიერო პირი დარწმუნდება მის უდანაშაულობაში, – მიიჩნევს ადვოკატი.

მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ საპატრიარქოს სულ სხვა ინფორმაციებს აწვდიდა საგამოძიებო უწყება. ამის მიუხედავად, არ ამტკიცებს, რომ პროკურატურამ სასულიერო პირები შეცდომაში შეიყვანა.

– მარტო საპატრიარქო კი არა, მთელი ქვეყანაა შეცდომაში შეყვანილი. ამაზე საპატრიარქოში არსებულმა გარკვეულმა ჯგუფმა, პროკურატურასთან ერთად, რაღაც სპექტაკლი გაითამაშა, რაც, საბედნიეროდ, ჩაეშალათ და შორს არ არის ის დრო, როცა ყველაფერს ნათელი მოეფინება, – აღნიშნა რამიშვილმა.

# ანატოლი ბიბილოვმა რუსეთის პატრიარქი უარყო?

## რუსები და ოსები ცხედრებით ვაჭრობას აგრძელებენ

შორენა მარსაგიშვილი

22 თებერვალს მოკლული არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის დაბრუნება ისევ ვერ ხერხდება. რუსი ოკუპანტებისა და მათი მონებისთვის, ეტყობა, რუსეთის პატრიარქის სიტყვაც არაფერს ნიშნავს.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის პატრიარქმა კირილმა ილია II-ს წერილი მოსწერა. ის გვპირდებოდა, რომ ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს 7 ან 8 მარტს დაუბრუნდებოდა.

7 მარტს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა საგანგებო განცხადება გააკეთა და გვამცნო, რომ ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს სულ მცირე ერთი თვის შემდეგ დაუბრუნდება.

მისი თქმით, გადმოცემამდე უნდა ჩატარდეს ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც დროს მოითხოვს.

– მშვენივრად ხვდებით, რომ ცხედრის გადმოცემისთვის საჭიროა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ეს მიღებულია ევროპაშიც და ამერიკაშიც. მაგალითად, იმავე საქართველოში სასამართლო ექსპერტიზაზე მიდის მინიმუმ ერთი თვე. არავინ არ ამბობს, რომ ტატუნაშვილის ცხედარი არ უნდა იყოს გადაცემული, თუმცა ასეთი პოზიცია ასევე აქვს ჩვენს საზოგადოებას, რადგან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩვენთან 150 ადამიანი მიიჩნევა, რომლის ბედზე მათმა ახლობლებმა არაფერი არ იციან. თუმცა ამისგან პოლიტიკას არ ვქმნით, – თქვა ბიბილოვმა ცხინვალში გამართულ შეხვედრაზე.



ბიბილოვმა დაამატა, რომ ოსური მხარე შიშობს, რომ ცხედრის გადმოცემით სასამართლო ექსპერტიზის გარეშე ისინი უფრო მეტ ნეგატივს მიიღებენ, ვიდრე ახლა.

– მოგვეცით საშუალება, ყველაფერი კანონის მიხედვით გავაკეთოთ, – თქვა ბიბილოვმა.

რუსეთის საპატრიარქოს ამ განცხადების საპასუხოდ არაფერი უთქვამს. და თუ მართლაც ცხედრის გადმოცემა დაგვიანდა, გამოდის, რომ რუსეთში კრემლის ყმა ბიბილოვს უფრო მეტი წონა აქვს, ვიდრე პატრიარქ კირილს.

რაც შეეხება ქართული მხარეს, ჩვენ, სამწუხაროდ, განცხადებების გაკეთების მეტი არაფერი შეგვიძლია. მმართველი გუნდიც განცხადებებით ცდილობს მოწინააღმდეგის შთაგონებას, რომ ცხედარი ოჯახს უნდა დაუბრუნდეს.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გედი ფოფხაძე ამბობს, რომ რაც მეტად გაჭიანურდება დრო, მით უფრო ბევრი კითხვა გაჩნდება.

– დროის გაჭიანურებით მეტი კითხვის ნიშანი გაჩნდება და აზრი გამყარდება, რომ ტატუნაშვილი მოკლულია. ეს ჩვენი ინტერესი არაა, სხვა მხარის ინტერესია, რომელსაც არავინ არ უნდა ემსახუროს. შერიგებისკენ უნდა ვიაროთ. ეს ვილაცას არ აწყობს, მას ჩვენს რეგიონში მეტი ცრემლი, სისხლი, ცხედარი უნდა. ვილაცას არ აწყობს, ქართულმა მხარემ ცხედარი დროზე მიიღოს, მას უნდა, მეტი აგრესია გაჩნდეს. ყველას ინტერესი უნდა იყოს, რომ ოჯახმა მიცვალებული დაიტიროს და რეგიონში მშვიდობა იყოს, – აცხადებს ფოფხაძე.

# ცოლ-ქმრის გახმაურებული მკვლელობა ზაჰესში – შსს-მ მრავალჯერ ნასამართლევი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავჭალაში მომხდარი ცოლ-ქმრის გახმაურებული მკვლელობა გახსნა.




– შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობის ფაქტი გახსნა, რომელიც მიმდინარე წლის 14 იანვარს ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩაზე მოხდა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.ნ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 14 იანვარს თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩაზე მდებარე მაღაზიაში, ნაცნობს – 1951 წელს დაბადებულ ე.ტ.-სა და მის მეუღლეს – 1968 წელს დაბადებულ ი.ხ.-ს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ორივე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 109-ე და 236-ე მუხლით.

საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველა გამოვლენილ დანაშაულზე შესაბამის რეაგირებას ახდენს. უწყებამ, ბოლო პერიოდში რამდენიმე გახმაურებული მკვლელობის და ყაჩაღობის ფაქტი გახსნა, მათ შორისაა 2017 წლის 5 აგვისტოს, ბათუმში მომხდარი მკვლელობისა და თბილისში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი. უწყება დანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას აქტიურად განაგრძობს, – აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ოჯახური დანაშაულის საქმეებს ზედამხედველობას სპეციალიზებული პროკურორები გაუწევენ

2018 წლის 1 მაისიდან, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს პროკურატურის ორგანოებში გამოძიებას, საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას მხოლოდ სპეციალიზებული გამომძიებლები და პროკურორები განახორციელებენ. ინფორმაციას ამის შესახებ მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაზრდის და დაზარალებულთა ეფექტიანად დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით, მთავარი პროკურორის ბრძანებით განისაზღვრა პროკურატურის გამომძიებელთა და პროკურორთა სპეციალიზაციის წესი სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა (ოჯახში ძალადობა) და 11 პრიმა (ოჯახური დანაშაული) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე. ამ კატეგორიის დანაშაულებზე პროკურატურის ორგანოებში გამოძიებას, საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას განახორციელებენ პროკურორები, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური სასწავლო კურსი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, შიდა კანონმდებლობისა და ფსიქოლოგიის კუთხით.

ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენება და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტი და სტრატეგიული მიმართულებაა. პროკურატურის მიერ ორგანიზებული პროექტების – ,,ადგილობრივი საბჭოს“ და ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა მსხვერპლთა მომართვიანობა.

ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოძალადეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. პროკურორთა სპეციალიზაცია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით და სხვა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისკენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილის პრეზიდენტობა ქართულ პოლიტიკურ პროცესებს გააჯანსაღებდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიები მზადებას იწყებენ. კულუარულად კანდიდატებიც სახელდება. საუბარია იმის თაობაზეც, რომ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ქალი იქნება. რას იტყვით თქვენ?***

– შეიძლება ქალიც იყოს პრეზიდენტი. რატომაც არა, ეს საინტერესო იქნება და სრულიად მისაღები იქნება დასავლეთისთვისაც. ეს ერთგვარი რევერანსი იქნება იმ ტრენდისა, რომელიც ახლა დასავლეთშია. ამიტომ მე მივესალმები გადაწყვეტილებას, თუ ქალი პრეზიდენტი გვეყოლება.

***– ოპოზიციის კანდიდატზე რას იტყვით?***

– ამ პროცესში ჩემთვის მთავარია ოპოზიციონერი კანდიდატი. იქნება თუ არა ერთობლივი ოპოზიციონერი კანდიდატი.

***– ბოლო დღეებია მიხეილ სააკაშვილი აქტიურობს, 2018 წელს არჩევნებს მოვიგებთო. ოპოზიციას ერთიანობისკენ მოუწოდებს. რა შანსები აქვს ოპოზიციას?***

– მე რა უფლება მაქვს, სააკაშვილს ჭკუა ვასწავლო, მაგრამ მის ადგილზე ცოტა გავუფრთხილდებოდი ასეთი განცხადებების გაკეთებას. ცოტა გადაჭარბებულია, რომ ჩვენ მოვალთ, ასე ვიზამთ, ისე ვიზამთ. დარწმუნებული ვარ, რომ მარტო ვერც ნაციონალური მოძრაობა და ვერც სხვა ოპოზიციური ძალა ხელისუფლებს ვერ



დაამარცხებს.

***– ოპოზიციის გაერთიანება შესაძლებელია?***

– ალბათ გაერთიანებაც არ მოხდება, რადგან ჩვენ უკვე ვხედავთ ძალიან ღიად „ევროპული საქართველოს“ პოზიციებს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გაერთიანდება სხვა ოპოზიციურ ძალებთან. პირიქით, ისინი მომხრე არიან, რომ დაშლილი იყოს ოპოზიცია. დღეს ოპოზიციის გაერთიანება ვერ მოხერხდება.

***– გაკეთდა მინიშნებები, რომ „ევროპული საქართველო“ ივანიშვილის სატელიტი პარტიაა, იქნებ ამიტომ არ უნდათ მათ ოპოზიციის გაერთიანება?***

– მე არ მაქვს არავითარი ფაქტობრივი საფუძველი, რათა დავადანაშაულო რომელიმე ოპოზიციური პარტია ივანიშვილის რეჟიმზე მიყიდვაში. მათ შორის „ევროპული საქართველოც“, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ვიზიარებ მათ პოზიციას. მიმაჩნია, რომ მათი სტრატეგია – მაქსიმალურად გაიშალონ ოპოზიციური პარტიები და სახელისუფლო კანდიდატს ბრძოლა მეორე ტურში გაუმართონ, მინიმუმ მცდარია. ხელისუფლებისთვის ბრძოლა მხოლოდ ოპოზიციის გაერთიანებით არის შესაძლებელი. მეორე ტურზე აპელირება მიმაჩნია თვალთმაქცობად. როგორც ჩანს, „ევროპული საქართველო“ არ აპირებს ხელისუფლებისათვის ბრძოლას და მხოლოდ მთავარი ოპოზიციონერის სახელით დაკმაყოფილდება. ასეთი მინიმალისტური სტრატეგია მოდის ივანიშვილის რეჟიმის ინტერესებთან ზუსტ თანხვედრაში.

***– თქვენ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა ოპოზიციური ერთიანი კანდიდატი?***

– დიახ, ასეა და ეს უნდა ესმოდეს ოპოზიციას, რომ ცალკე აღებული ვერც ერთი პარტია ვერ მოუგებს ამ ხელისუფლებას და ჩვენ მივიღებთ ისევ იმას, რაც გვაქვს. ამ არჩევნებშიც გაიმარჯვებს ხელისუფლება.

***– და როდემდე გაგრძელდება „ოცნების“ გამარჯვებები?***

– ეს პოლიტიკური კლასი, რომელიც მოდის 90-იანი წლებიდან, უნდა წავიდეს ერთხელ და სამუდამოდ. ყველა ეს ადამიანი, მათი 90%, მათ შორის მეც, ვართ საბჭოთა კავშირის პროდუქტი, დაკომპლექსებული ადამიანები ვართ ამ საბჭოთა წყობილებით. უნდა მოვიდეს სრულიად პრაგმატული, ახალგაზრდა თაობა. თუმცა ჯერ ამისთვის საჭიროა, შეიქმნას საზოგადოებრივი ფუნდამენტი. თუ არ



**მამუკა გამყრელიძე: „ევროპული საქართველოს“ პოზიცია ხელისუფლების ინტერესებს ზუსტად ეთანხმება“**

იქნება ფუნდამენტი, ვერაფერს ავაშენებთ.

***– ამ ყველაფერს დიდი დრო დასჭირდება.***

– შეიძლება დასჭირდეს 10 წელი, ან 20, მაგრამ ფუნდამენტის გარეშე სახლი არ შენდება! სამოქალაქო საზოგადოება თუ არ იქნება, პოლიტიკური კლასი იქნება მახინჯი, იქნებიან კვაზი პოლიტიკოსები და ისინი აუცილებლად იმოქმედებენ საკუთარი ინტერესებით და არა – სახელმწიფო ინტერესებიდან.

როდესაც ჩამოყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების და მოთხოვნების გამტარებელი იქნება მასზე აღმოცენებული პოლიტიკური კლასი, აი, მაშინ იქნება ჯანსაღი პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში.

***– „ოცნების“ კანდიდატს ივანიშვილი დაასახელებს?***

– აქამდე ასე ხდებოდა და ალბათ ისევ ასე იქნება. გეტყვით იმასაც, რომ აბსოლუტურად მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება „ოცნების“ კანდიდატი. ერთადერთი საინტერესო იქნება, თავად ბიძინა ივანიშვილი თუ გახდება პრეზიდენტი.

***– რატომ?***

– ეს პოლიტიკურ პროცესს აუცილებლად გააჯანსაღებდა საქართველოში. ამით დამთავრდებოდა არაფორმალური მმართველობა. კარგი იქნება, ივანიშვილი თუ გამოვა ჩრდილიდან. თუმცა, როგორც მე ვხედავ, მას კულისებიდან გამოსვლა არ უნდა და ამით ძალიან ცუდ როლს თამაშობს საქართველოს პოლიტიკური განვითარებისთვის.

# სალომე სამადაშვილი: „რუსეთთან დათმობის პოლიტიკამ კრახი განიცადა“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი სალომე სამადაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხელისუფლების რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკაზე საუბრობს.



**„აბაშიძე-კარასინის ფორმატი ახალი ფორმატით უნდა შეიცვალოს“**



***– ქალბატონო სალომე, პარლამენტი რამდენიმე დღეა რაც რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი რეზოლუციის მიღებაზე მსჯელობს, რამდენად ქმედითი და მნიშვნელოვანია მსგავსი რეზოლუციები?***

– ზოგადად, მსგავსი რეზოლუციების მიღება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით შექმნილ ვითარებაში, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ რეზოლუციაში ჩადებული იყოს ისეთი პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ეს რეზოლუცია ფარატინა ქაღალდად და სურვილების დეკლარაციად არ დარჩეს. სწორედ აქედან გამომდინარეა ის ჩვენი წინადადებები, რომლებსაც ვაყენებთ.

***– გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ ერთობლივი რეზოლუციის მიღება საერთო სახელმწიფოს ინტერესშია, ასევე „ევროპული საქართველოს“ წევრები აცხადებენ, რომ ერთიანი რეზოლუცია უფრო ძლიერი იქნება. რატომ გამოეთიშეთ ამ პროცესს, მთლიანად ოპოზიციის მიერ მხარდაჭერილი რეზოლუცია უფრო მკვეთრი არ იქნებოდა?***

– რასაკვირველია, არის გარკვეული საკითხები, რაზეც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უჩვენოს კონსენსუსი და საზოგადოების ერთიანი პოზიცია. ეს, ნამდვილად არის ის შემთხვევაა, როდესაც ქართველი საზოგადოება უნდა იდგეს ერთად, მაგრამ ბატონ ვოლსკის, უმრავლესობის სხვა წარმომადგენლებსაც შევახსენებ, რომ საკუთარ გუნდში აქვთ პრობლემა იმ რეზოლუციის ტექსტის მიღების, რომელიც თავად დაწერეს.

***– თქვენი პარტიის მოთხოვნაა რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებთან მიერთება. კიდევ რა მოთხოვნები გაქვთ?***

– პირველ რიგში, კონსულტაციები უნდა დაიწყოს საერთაშორისო პარტნიორებთან 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო სანქციების რეჟიმის კონტექსტში საქართველოს საკითხის მოქცევის თაობაზე. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის აბაშიძე-კარასინის ფორმატის შეწყვეტა, სანამ ოთხოზორია-ტატუნაშვილის მკვლელების, ბრძანების გამცემთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება. შემდეგ შესაძლებელი იქნება ამ ფორმატის არა განახლება, არამედ შეცვლა. ახალი მოლაპარაკებების ფორმატის შექმნა, რადგანაც პირველ რიგში, მსგავსი მოლაპარაკებებისთვის უფრო გამჭვირვალე მანდატი არის საჭირო.

***– ეს ფორმატი არ არის გამჭვირვალე?***

– ჩვენ დღესაც არ ვიცით, რეალურად რა მანდატი აქვს ბატონ აბაშიძეს. ის გვეუბნება, რომ კარასინთან ჰუმანიტარულ საკითხებზე საუბრობს. ამ დროს აღმოჩნდა, რომ ასეთი კრიზისების დროს ეს ფორმატი არაფერში არ გვადგება. შესაბამისად, საჭირო არის პარლამენტის მიერ ახალი, გამჭვირვალე ფორმატისა და ახალი მომლაპარაკებელი პირის დამტკიცებაც. მოლაპარაკებებს უნდა აწარმოებდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორბიტაში მყოფი პირი და არა გაურკვეველი, შესაბამისი მანდატის არმქონე პირი.

***– პრემიერის პირადი წარმომადგენელია ბატონი აბაშიძე.***

– ეს არ არის ის ჩარჩო, რომელშიც უნდა წარმოებდეს რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებები. რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებები მკვეთრად ინსტიტუციურ ჩარჩოში უნდა იყოს მოქცეული და მომლაპარაკებელი პირი ანგარიშვალდებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტთან.

ჩვენ ერთი წელიწადია ვითხოვთ, ბატონი აბაშიძე პარლამენტში გამოცხადდეს და გაგვიზიაროს, რა მოლაპარაკებებს აწარმოებს, რა წარმატება გვაქვს, გვაქვს თუ არა საერთოდ წარმატება, მაგრამ ამ შეხვედრის უზრუნველყოფას ვერ მივაღწიეთ, რადგან ის თავს ვალდებულად არ თვლის, რომ პარლამენტის წინაშე წარდგეს.

ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს. არ შეიძლება, ასეთი მნიშვნელობის საკითხზე გაურკვეველი ფორმატისა და გაურკვეველი დანიშნულების მქონე პირი აწარმოებდეს მოლაპარაკებას.

***– კონკრეტული მოთხოვნა გაქვთ, რომ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს საქართველო მიუერთდეს?***

– კონკრეტული მოთხოვნაა, საგარეო უწყებას დაევალოს, ამ საკითხებზე კონსულტაცია დაიწყოს ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ეს საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგში უნდა შევიდეს. საქართველოს სახელმწიფოს მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს, რომ დასავლეთმა დაიწყოს ფიქრი რუსეთის მიერ 2008 წლის ხელშეკრულებით ნაკისრ შეუსრულებელ ვალდებულებებზე. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღეს ევროკავშირში დღის წესრიგში არ დგას. აშშ-ის კონგრესში საკუთარი ინიციატივით დაემატა საქართველოს საკითხი უკრაინის შესაბამის საკანონმდებლო ინიციატივებში.

ხელისუფლების პოლიტიკამ, რუსეთთან ურთიერთობის დათბობის თუ დათმობის, სრული კრახი განიცადა. ამ პოლიტიკის შედეგად საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ახლა სრული ანექსიის პროცესშია გადასული. ამის მიზეზია სრულიად მორღვეული უშიშროებისა და უსაფრთხოების სისტემა, რომელმაც ჩვენი მოქალაქეები უნდა დაიცვას.

ვხედავთ ოთხოზორიას, ტატუნაშვილის შემთხვევებს, სხვა შემთხვევებიც იყო, უბრალოდ, ეს ფაქტები გახმაურდა. დროა, დასრულდეს ეს საგარეო პოლიტიკა – საერთაშორისო დღის წესრიგიდან საქართველოს პრობლემების მოხსნა, ჩუმად ყოფნა და ურთიერთობების რუსეთთან ჩვენი ძალისხმევით დალაგება..

***– და როგორი უნდა იყოს?***

– საქართველომ საკუთარი პრობლემები ხმამაღლა უნდა დააყენოს საერთაშორისო არენაზე. სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებითა და მათი ჩართულობით მოხდება საქართველოს ტერიტორიების მთლიანობის აღდგენა და ჩვენი ინტერესების დაცვაც რუსეთის წინააღმდეგ.

# „ილია II-მ მიგვანიშნა, რომ გამოუვალ მდგომარეობაშია“

**ქართველმა მღვდელმთავრებმა დასავლეთს მოწყალე თვალით შეხედეს. ბრიუსელსა და შეერთებულ შტატებში ვოიაჟების შემდეგ, მაღალი რანგის სასულიერო პირები უკვე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს ხვდებიან.**

**ამ დღეებში ისინი დიდი ბრიტანეთის საელჩოში დიპლომატებს შეხვდნენ. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრის მთავარი თემა რუსული პროპაგანდის და რუსული საფრთხეების განეიტრალება იყო.**

**ელჩებთან გამართულ შეხვედრას პატრიარქის ქორეპისკოპოსი იაკობი, ფოთელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი, გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია და კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი ესწრებოდა.**

**რას უკავშირდება სასულიერო პირებში დასავლური განწყობების ზრდა, რას გააკეთებს დასავლური ფლანგის საპირწონედ რუსეთი, რა შანსი მისცა ილია II-მ საქართველოს მოსახლეობას? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.**



შორენა მარსაგიშვილი

## რატომ გააქტიურდა საპატრიარქოში დასავლური ფრთა



ფოთელი მიტროპოლიტი გრიგოლი



პატრიარქის ქორეპისკოპოსი იაკობი



ატენის მიტროპოლიტი ანდრია



ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი

**გოჩა მირცხულავა:**

— საპატრიარქოში დასავლეთთან დაახლოების ტენდენცია გრძელდება, რაც სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორით არის განპირობებული. ერთი ფაქტორია პოლიტიკური, მეორე ეკონომიკური და მესამე — მორალური.

პოლიტიკურ ფაქტორში ვგულისხმობ იმას, რომ დასავლეთთან დაახლოება მას შემდეგ დაიწყო, რაც საპატრიარქოში რუსული ნიშის დაკავება მოხდა — მოსკოვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ჰყავს თავისი ფავორიტი. სასულიერო პირების ნაწილი ცდილობს, საზოგადოებას თავი წარუდგინოს, როგორც საპატრიარქოს შიგნით დასავლური ღირებულებების მქონე ჯგუფმა. მიუხედავად იმისა, მჯერა თუ არა ამ პირების გულწრფელობის, მაინც პოზიტიურ ნაბიჯად მიმაჩნია ეს.

ამ ჯგუფის წარმომადგენლების აშშ-ში ვიზიტის შემდეგ გამოვთქვი ეჭვი, რამდენად იქნებოდა რეალიზებული ის, რაზეც მათ იქ ისაუბრეს. მხედველობაში მაქვს ამ მღვდელმთავრების ყოველდღიური საქმიანობა — ქადაგებები, მრევლთან მუშაობა. უნდა გაკეთებულიყო განმარტებები დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებზე. მომხდარიყო მათი პროპაგანდა.

უნდა თქმულიყო, რომ დასავლური ღირებულებები არ მოდის წინააღმდეგობაში ქართულ ტრადიციებთან და მართლმადიდებლური ეკლესიის ღირებულებებთან. სამწუხაროდ, ეს დღემდე არ გაკეთებულა.

ზემოთ გულწრფელობასთან დაკავშირებით ვთქვი და ამ თემას გავაგრძელებ. ქორეპისკოპოსი იაკობი საზოგადოებისთვის რადიკალური ქადაგებებით არის ცნობილი. ის იყო ერთ-ერთი განმხორციელებელი 2013 მაისის იმ მოვლენებისა, რომლებმაც ჩვენს ეკლესიას მრევლი დააკარგვინა.

***— ამ მოვლენამ დააკარგვინა ეკლესიას მრევლი?***

— ამ თემაზე მართალია ჩუმად, მაგრამ მაინც საუბრობენ ეკლესიის წიაღში. ამბობენ, რომ 17 მაისის მოვლენებმა მართლმადიდებლურ ეკლესიას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა — იმ პერიოდის შემდეგ მრევლის რაოდენობამ იკლო.

***— მრევლის შემცირებასთან დაკავშირებით სასულიერო პირებს სხვა შეხედულებები აქვთ.***

— არ აქვს მნიშვნელობა, ვის დააბრალებენ ამას ქართული ეკლესიის მესვეურები. მრევლის შემცირება, პირველ რიგში, მათი ბრალია და არა — მედიის ან ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლი რომელიმე პერსონის თუ დაჯგუფების.

როგორც ზემოთ უკვე გითხარით, საპატრიარქოში რუსული ნიშა დაკავებულია და სასულიერო პირების ნაწილი ცდილობს, ამ ნიშის საპირწონედ რაღაც შექმნას.

დასავლეთთან დაახლოების მეორე მნიშვნელოვანი მომენტი არის ეკონომიკური მომენტი. ეკლესია სახელმწიფოსგან იღებს დაფინანსებას, საპატრიარქოს სხვა შემოსავალიც აქვს. ამ თანხების შემომწირველებიც და განმკარგველებიც რუსეთთან დაახლოებული პირები არიან. ეს თანხები ძირითადად იმ ეპარქიებში მიდის, სადაც რუსეთის გავლენა მაღალია და იქაური მღვდელმთავრები რუსულ თამაშს თამაშობენ.

აქედან გამომდინარე სასულიერო პირების ნაწილი რუსეთის ეკონომიკურ საპირწონესაც ეძებს. სოციალურ ქსელში მოვკარი ამასთან დაკავშირებით მოსაზრებებს თვალი. დადასტურებულად ვერ ვიტყვი, მაგრამ ამ აზრს არსებობის უფლება აქვს — დასავლეთმა, შესაძლოა, ქართული ეკლესიისთვის რაღაც გრანტები გამოყოს.

გრანტების გამოყოფა მართლაც კარგი იქნება თუ ეს ჩვენი ეკლესიების რეაბილიტაციას და კულტურული ძეგლების გადარჩენას მოხმარდება.

სხვა მიმართულებით ამ წუთას თანხის გამოყოფის აუცილებლობას ვერ ვხედავ და ეს ჩემი მხრიდან რეკომენდაციად მიიღონ საელჩოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

ახლა რაც შეეხება მორალურ ფაქტორს. კიდევ ერთხელ ვამბობ. რომ ძნელი დასაჯერებელია სავლეს პავლედ გადაქცევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რწმენა ერთგვარად ემოციურ კატეგორიად ითვლება. ჩვენ ამ სასულიერო პირებთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები გვაქვს. ეს კითხვები დღემდე პასუხგაუცემელია.

ისევ მეუფე იაკობი მინდა გავიხსენო. პიროვნულად მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მისი ქმედებები შეუძლებელია დავივიწყოთ. გავიხსენებ 2013 წლის 17 მაისს. ძალიან ბევრი ადამიანისთვის მიუღებელი იყო. როგორ მისდევდა 20-25 ახალგაზრდას 40.000-იანი ლაშქრით.

თავად ფორმა და ქმედება იყო მიუღებელი, თორემ ეკლესიას ვერავინ წაართმევს იმის უფლებას. რომ რაღაც დაგმოს, რაღაც მოიწონოს, რაღაც შეაფასოს.

***— თქვენი აზრით, რა უნდა გაეკეთებინა 17 მაისს ქართულ ეკლესიას?***

— რუსთაველზე 20-25 ახალგაზრდა შეიკრიბებოდა. მათთან უნდა მისულიყვნენ ქართული ეკლესიის მაღალი იერარქები, დაეკავებინათ ხელში ბიბლია და ელაპარაკათ იმ ახალგაზრდებთან. ეს საუბარი ყოველგვარი ლაშქრისა და ტაბურეტკების გარეშე უნდა წარმართულიყო.

მორალურ ფაქტორზე როცა ვსაუბრობ, არის გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რამდენად გულწრფელები არიან ეს სასულიერო პირები. რამდენად ამოძრავებთ მათ პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები ამ ნაბიჯის გადადგმისას.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ ხდება დასავლური ღირებულებების პოპულარიზაციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მღვდელმთავრების მხრიდან. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც დადებითად ვაფასებ მღვდელმთავრების დასავლეთთან დაახლოების მცდელობას. კითხვების მიუხედავად, მაინც კარგია, რომ საპატრიარქოში გაჩნდა დასავლური ფრთა.

***— ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, რომ საპატრიარქოში რუსული ნიშა უკვე დაკავებულია. ეს ნიშა დაკავებული რომ არ ყოფილიყო, საპატრიარქოში დასავლური მიმართულება არ გაჩნდებოდა?***

— ე.წ. დასავლური მიმართულებიდან რომელიმე რომ დასახელებულიყო პატრიარქის მოსაყდრედ, ვერ გეტყვით, რამდენად დაიწყებდნენ ისინი დასავლურ ღირებულებებზე საუბარს. ფაქტია, რომ მღვდელმთავრების ნაწილმა დაიწყო დასავლურ ღირებულებებზე საუბარი, რაც მხოლოდ მისასალმებელია.

***— ზოგჯერ რუსული მომენტიც აკეთებს თურმე კარგ საქმეს.***

— ზოგჯერ ასეც ხდება, მაგრამ წინასწარ რაიმე პროგნოზის გაკეთება ძნელია — ჩვენ არ ვიცით, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა დასავლური ფრთისთვის რამდენად წარმატებული იქნება. სასურველია, ეს ასე მოხდეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ წუთას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდგომარეობა ძალიან ჰგავს მხცოვანებაში მყოფი ერეკლე მეორის მდგომარეობას, როდესაც მას სვავებივით ეხვივნენ თავს მისი „კეთილმოსურნეები“, რომლებიც აბსოლუტურად რუსეთის თამაშს თამაშობდნენ.

ჩვენ რეალურად ვხედავთ, რომ ტახტისთვის სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს, სადაც პატრიარქის მოსაყდრე კვლავ ინარჩუნებს მდუმარებას. ამით ის იქმნის ერთგვარ პიროვნულ იმიჯს, რომ ის რაღაცებში არ ერევა.

მოსაყდრედ მისი გამოცხადებიდან 3 თვეზე მეტი გავიდა და მისგან დღემდე ვერ მოვისმინეთ ღირებულებითი განცხადებები. არ ვიცით, რას ფიქრობს ის საქართველოს მომავალზე და როგორ წარმოუდგენია საქართველოს ეკლესიის განვითარება. არაფერს ამბობს იმ რეფორმების აუცილებლობაზე, რომელთა გატარებასაც აუცილებლად მოითხოვს საქართველოს ეკლესია.

ჩვენ ასევე არ ვიცით, რა ხდება ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, მას შემდეგ, რაც სასამართლო დაასრულებდა ციანიდის საქმის განხილვას, საპატრიარქოში შეიქმნებოდა კომისია, რომელიც დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეს შეისწავლიდა.

დღეს არავინ საუბრობს იმაზე, შეიქმნა თუ არა საპატრიარქოში კომისია და სწავლობს თუ არა ის ამ საკითხს. საზოგადოებას აქვს სერიოზული ეჭვი, რომ ციანიდის საქმე არის შეთითხნილი და პროკურატურის მტკიცებულებები მყიფეა.

მეუფე შიოს დუმილი აჩენს მოსაზრებას, რომ მოსაყდრე ნელ-ნელა იკრებს ძალებს, მუშაობს სხვადასხვა მღვდელმთავრებთან და ღვთისმსახურებთან. მუშაობს იმაზე, რომ საქმე საქმეზე თუ მიდგება, საეკლესიო კრებამ მას დაუჭიროს მხარი. და ძალიან კარგია, რომ ამის საპირწონედ არსებობს ძალა.

ვისარგებლებ შემთხვევით და აქვე ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვიტყვი რამდენიმე სიტყვას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მოსაყდრის დანიშვნით ჩვენი ეკლესია და სახელმწიფო ძალიან მნიშვნელოვან დარტყმას აარიდა.

ილია II-მ ჩვენ, საზოგადოება, დაგვაყენა ფაქტის წინაშე, რომ თავად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, თუ როგორ განვითარდება ქართული ეკლესია.

ილია II-ის პატრიარქად არჩევის დროს, როცა მიმდინარეობდა საეკლესიო კრება, სიონის საკათედრო ტაძარი გარშემორტყმული იყო საქართველოს მოსახლეობის მიერ. სიონი ფაქტიურად ალყაში იყო და საზოგადოებამ მღვდელმთავრები აიძულა, ილია II-ის სასარგებლოდ გაეკეთებინათ განცხადება.

მოსაყდრის დანიშვნით პატრიარქმა ერთგვარი სიგნალი მოგვცა, რომ ის გამოუვალ მდგომარეობაში იყო და მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ საბოლოოდ ქართული ეკლესიის განვითარებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მრევლმა უნდა მიიღოს და არა — მხოლოდ სინოდმა და საეკლესიო კრებამ.

***— საზოგადოებას რისი გაკეთება შეუძლია? პატრიარქის არჩევნებში ვერ ჩავერევით.***

— საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე არ ვიხილოთ პერსონა, რომელიც რუსეთის ინტერესებს გაატარებს.

***— საპატრიარქოში მედასავლეთეების გააქტიურებას რუსეთი რით უპასუხებს?***

— საპასუხო ნაბიჯები აუცილებლად იქნება. რუსეთს საქართველოში აუცილებლად სჭირდება დასაყრდენი. გაგახსენებთ დუგინის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ რუსეთმა მოკავშირეები უნდა მოძებნოს არა პოლიტიკოსებში, არამედ ხალხში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში მათ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს ეკლესია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მძლავრი და ავტორიტეტული ინსტიტუტია.

რა თქმა უნდა, მოსკოვს უნდა, რომ ასეთი ინსტიტუტი მის მიერ იმართებოდეს. რუსეთი სათავისოდ სწორად იქცევა, როცა ქართულ ეკლესიაზე გავლენის მოპოვებას ცდილობს. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად მივცემთ მას ამის გაკეთების საშუალებას.

# ჯეიმს აპატურაი: „ოკუპირებული ტერიტორიები ნატოში გაწევრიანების წინაღობა არაა, მაგრამ ეს არის სირთულე“



კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის შეფასებით, ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის წინაღობა არ არის, თუმცა სირთულეს წარმოადგენს.

— ვერ ვიტყვი, რომ ეს არის წინაღობა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის სირთულე. ეს არის პოლიტიკური საკითხი. თუმცა, ნატოს წევრი სახელმწიფოები მხარს უჭერენ ორგანიზაციის ღია კარის პოლიტიკას, ქართულ რეფორმებს, საქართველოს მისწრაფებას და არაერთხელ ითქვა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. რუსეთი წლებია, საქართველოს ტერიტორიებზე იმყოფება და ამ სირთულეების ცოდნის ფონზე, ნატო აცხადებს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და აქვს ყველა ინსტრუმენტი წევრობისთვის მოსამზადებლად. ასე რომ, ეს სირთულე ნამდვილად არის, — უთხრა აპატურაიმ პირველ არხს, სადაც საუბარი იყო „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ კვლევაზე.

კვლევის მიხედვით, ნატო შეიძლება დათანხმდეს საქართველოს წევრობას ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული კომპრომისით. კერძოდ, იგულისხმება საქართველოს გაწევრიანება ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მეხუთე მუხლის დროებით ამოქმედების გარეშე.

აპატურაის თქმით, ნატოს წევრ სახელმწიფოებს „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ მიერ წარმოდგენილ საკითხზე არ უმსჯელიათ.

მისი შეფასებით, არაა რეალისტური საუბარი საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე მეხუთე მუხლის გარეშე.

— შემიძლია, ჩემი მოსაზრება გითხრათ და საკუთარი პოზიცია დავაფიქსირო. გულწრფელად რომ გითხრათ, არ არის სასარგებლო და რეალისტური, ვიმსჯელოთ საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე მეხუთე მუხლის გარეშე ან მისი ნაწილობრივი ამოქმედების პირობით გაწევრიანებაზე. „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ მიერ წარმოდგენილი წინადადება შეიცავს და დაკავშირებულია სირთულეებთან, ძალიან ბევრ შესაძლო სირთულესთან.

აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ არ არის რეალისტური, ხალხმა ამ თემაზე იფიქროს და იმსჯელოს. ალიანსის წევრი ქვეყნების ყურადღება კონცენტრირებულია ქართული რეფორმების მხარდაჭერაზე. ეს არის საკითხი, რაზეც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებს კონსენსუსი მიღწეული აქვთ. „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ მიმართ პატივისცემის მიუხედავად, არ არის კარგი იდეა და მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რომ გაჩნდეს ამ სცენარის ირგვლივ მოლოდინი საზოგადოებაში, — თქვა აპატურაიმ.

**მედიანიუსი**

# „სოხუმის უნივერსიტეტი საქართველოს გაერთიანებაში დიდ როლს შეასრულებს“

## ზურაბ ხონელიძე საუნივერსიტეტო დიპლომატიის ამოქმედებას ითხოვს

გულიკო ბალაძე

**თბილისში განთავსებულ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს რამდენიმე თვეა, ახალი რექტორი ჰყავს. ყოფილი დიპლომატი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე, რომელიც აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საქმეში „ახალ თაობასთან“ საუნივერსიტეტო დიპლომატიის ამოქმედების ინიციატივით გამოდის.**

– სოხუმელ კოლეგებთან ურთიერთობა დავამყარეთ. მე სატელეფონო საუბარი მქონდა ჩემს კოლეგა ალეკო გვარამიასთან, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, გონიერი კაცია. 1989 წლიდან აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორია. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მასთან ძალიან ჯანსაღი ურთიერთობა მაქვს, სწორედ უნივერსიტეტებმა – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც სოხუმშია და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც იძულებით თბილისში ფუნქციონირებს – უნდა დავიწყოთ ჩატეხილი ხიდის აღდგენა. ამის რესურსი არსებობს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ზურაბ ხონელიძე.

***– რა შესაძლებლობა არსებობს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად?***

– კონკრეტულად, ეს არ არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღევანდელი ადმინისტრაციის თუ ხელმძღვანელის შესაძლებლობა, რომელსაც აჩენს აკადემიური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევითი ფორმატი, რაც უზარმაზარი რესურსია.

***– არსებული რესურსიდან გამომდინარე, გაქვთ თუ არა შეთავაზება აფხაზური მხარისთვის, რომ ამ უნივერსიტეტში მიიღონ განათლება?***

– მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს გარკვეული მიმზიდველობა. ამ მიმზიდველობიდან გამომდინარე, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების პროცესში უნივერსიტეტის საჭიროება და აუცილებლობა გაჩნდეს.

ჩვენი უპირველესი მიზანია, საგანმანათლებლო რესურსი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის გამოვიყენოთ. არ მინდა ამ არეალიდან გავიდეთ, მაგრამ ვხედავ აუცილებლობას, საჭიროებას და რესურსს, კერძოდ, საგანმანათლებლო ფორმატში, რომელიც სამშვიდობო მიმართულებით გამოყენებული არ არის. ამიტომ გავახმოვანეთ ინოვაციური ხედვა, საუნივერსიტეტო დიპლომატია.

***– რას ნიშნავს საუნივერსიტეტო დიპლომატია?***

– ამ უნივერსიტეტს მხოლოდ სასწავლო დაწესებულების ფუნქცია არ აქვს. უმნიშვნელოვანესია სწავლის ხარისხი, ინტერნაციონალიზაცია, ინფრასტრუქტურის გამართვა, მაგრამ ჩვენ განგებამ სხვა ფუნქციაც დაგვაკისრა.

***– რა ფუნქცია დაგაკისრათ?***

– სოხუმის უნივერსიტეტმა რთული გზა გამოიარა და ქვეყნის ბედის თანაზიარი გახდა. კონფლიქტის შედეგებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ამოვხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. ამ მიმართულებით საფუძვლიანი კვლევა არ მიმდინარეობს.

მშვიდობის სწავლება კონფლიქტის დარეგულირების ასპექტია. საუნივერსიტეტო დიპლომატიას ორმხრივი მნიშვნელობა აქვს. აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთ საბაბად უნივერსიტეტის გაყოფა იყო გამოყენებული. არ ვამბობ, რომ ეს იყო ძირითადი მიზეზი. თუმცა, უნივერსიტეტის გაყოფით მომზადდა ჩვენი გახლეჩისა და გაყოფის ნიადაგი, რაც არა შიგნით, არამედ გარედან იყო დაგეგმილი და ინსპირირებული. ახლა გვაქვს საშუალება, ამის გამოსწორება დავიწყოთ.

***– როგორ უნდა დაიწყოთ გამოსწორება?***

– სწორედ უნივერსიტეტებმა – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც სოხუმშია და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც იძულებით თბილისში ფუნქციონირებს – დაიწყონ ჩატეხილი ხიდის აღდგენა.

***– რაიმე კონტაქტები გაქვთ მათთან?***

– რა თქმა უნდა, გვაქვს. კონტაქტები



მუდმივად არსებობდა და ახლაც არსებობს. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი სოხუმიდან და აფხაზეთის სხვადასხვა კუთხიდან არიან. ისინი აფხაზეთის უნივერსიტეტიდან მოდიან. მათთან მეგობრულ-ნათესაური კავშირები აქვთ. რეალურად, მათთან კონტაქტი არც გაწყვეტილა.

ისინი ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანებია და ჩვენი რეინტეგრაციის, პროცესის გაჯანსაღების აუცილებლობას ხედავენ. თუმცა, თავიანთ მოქმედებებში შეზღუდულნი არიან. ვინ შეზღუდა?! შეზღუდა იმ პოლიტიკამ და პროცესებმა, რომელმაც საქართველო გახლეჩამდე მიიყვანა. ჩვენ ყოველთვის გვინდოდა პროცესის გაჯანსაღება. სოხუმელ კოლეგებთან ურთიერთობა დავამყარეთ. მე სატელეფონო საუბარი მქონდა ჩემს კოლეგა ალეკო გვარამიასთან, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, გონიერი კაცია. 1989 წლიდან აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორია. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მასთან ძალიან ჯანსაღი ურთიერთობა მაქვს. მაშინ განათლების სამინისტროში ვმუშაობდი.

***– კონფლიქტის შემდეგაც ხომ არ ჩადიოდით სოხუმში?***

– არა. სამწუხაროდ, სოხუმში ვერ ჩავდივარ, მაგრამ მჯერა, რომ ჩავალ. მარტო მე კი არ ჩავალ, ჩავალთ და ვეცდებით ურთიერთობების აღდგენას.

დღეს თბილისში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობა რაღაც ციფრის განმსაზღვრელი კი არ არის, არამედ თვისობრიობაა მისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან, დანიშნულებიდან და ისტორიული ბედიდან გამომდინარე. ჩვენი უნივერსიტეტის ვერანაირი ინტეგრირება ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ვერ მოხდება აფხაზეთის თემის გვერდის ავლით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება არის დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემატიკისადმი, ხოლო დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემისადმი არის დამოკიდებულება ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი.

***– ვინმეს არ მოსწონს ამ საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება?***

– არ მაინტერესებს, ვის მოსწონს და ვის – არა. უბრალოდ, ცოტა განსხვავებულ დამოკიდებულებას ვითხოვ. თქვენ მოგწონთ ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს? მე არ მომწონს. რაც მე დამხვდა, არ შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭიროებებს. ეს აკადემიური პერსონალის ბრალია? რა თქმა უნდა, არა. ჩვენი უნივერსიტეტი არავის კონკურენტი არ არის. ის უნდა იყოს ყველას პარტნიორი, მისი პარტნიორი კი უნდა იყოს ყველა, ზოგადად, ქართული სახელმწიფო, რადგან სწორედ ამ უნივერსიტეტს შეუძლია ყველაზე დიდი და ჯანსაღი როლის შესრულება ქვეყნის ერთიანობის თვალსაზრისით.

***– აფხაზეთის უნივერსიტეტისთვის რის შეთავაზება შეგიძლიათ?***

– ვცდილობთ კარგი ურთიერთობა გვქონდეს. ჩვენ რის შეთავაზებაც შეგვიძლია, შევთავაზეთ. ხვალაც შევთავაზებთ და გარკვეულ შედეგს დაველოდებით. მოვლენებს არ დავასწრებთ, მაგრამ ურთიერთობა გვაქვს და დავანგრიეთ სტერეოტიპი, რომ ეს ორი უნივერსიტეტი ერთმანეთის მტერია. მსგავსი დამოკიდებულება დღეს აღარ არის. პირიქით, მინდა ჩვენი უნივერსიტეტი იქცეს ხიდად და გასაღებად აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან ჰარმონიული ურთიერთობის, თანამშრომლობის საქმეში, აფხაზების თბილისიდან ცივილიზებულ სამყაროსთან, ევროპასთან ინტეგრაციისთვის.

ეს ერთიან ქართულ სახელმწიფო ინტერესს მოემსახურება. ჩვენი ინტერესი აფხაზის კეთილდღეობა, მათი იდენტობის, ენის შენარჩუნება და გადარჩენაა.

# საქართველოში გლობალური ინტერნეტის მომწოდებელი მსხვილი კომპანიები შემოდიან



კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაურის განცხადებით, კომუნიკაციების კომისია მუშაობს, რათა ქართულ ბაზარზე გლობალური ინტერნეტის მომწოდებელი მსხვილი კომპანიები შემოვიდნენ. ბექაური ამბობს, რომ კომპანიები ადგილობრივ ფიქსირებულ ინტერნეტ პროვაიდერებთან უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს. მისივე განცხადებით, პროცესში გარკვეულ შეფერხებებს ჰქონდა ადგილი, რასაც კომისია მკაცრად აკონტროლებს და არავის მისცემს შესაძლებლობას, რომ მსხვილ უცხოურ კომპანიებს ბაზარზე შემოსვლაში ხელი შეუშალონ.

– კომისია აქტიურად მუშაობს, რომ საბითუმო ბაზარზე და განსაკუთრებით ეს ეხება ფიქსირებული ინტერნეტის საბითუმო ბაზარს, შევქმნათ ძლიერი კონკურენცია. დღეს ამ ბაზარზე კონკურენციის კუთხით ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ კომისია ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს. ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. ჩვენ მოვახერხებთ, რომ ამ ბაზარზე იყოს ძლიერი კონკურენცია, მაგრამ ამას დასჭირდება გლობალური ინტერნეტის მომწოდებელი მსხვილი კომპანიების ქართულ ბაზარზე შემოსვლა და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. მათი შემოსვლის შემდეგ, ბაზარზე ფასები იქნება ძალიან დაბალი. ჩვენ ჩართული ვართ ამ პროცესში, რათა სამართლიანად წარიმართოს ის და არსებულმა ოპერატორებმა პროცესს ხელი არ შეუშალონ. აქვე გეტყვით, რომ ცოტათი შეფერხდა ეს პროცესი და ახლა სწორედ ამას ვარკვევ, როგორ და რატომ მოხდა ეს. გპირდებით, რომ არავის მივცემ ამ პროცესისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობას, – განაცხადა კომისიის სხდომაზე კახა ბექაურმა.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და 2017 წლის ბოლოს, კომისიის ძალისხმევით ფიქსირებული ინტერნეტის საბითუმო ფასი 32 ლარიდან 15 ლარამდე შემცირდა.

– ეს ფასი კიდევ დაბლა დაიწევს. მაგრამ აქ მხოლოდ ფასის დაწევა არ არის მთავარი. მთავარია გაყიდვის წერტილების შექმნა, ანუ საბითუმო ინფრასტრუქტურის დაშვების და ტარიფის რეგულაციების შემოღება. იმისთვის, რომ როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მცირე და საშუალო ოპერატორებს საბითუმო ინტერნეტ ბაზარზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი ჰქონდეთ და კომისია ამ პროცესს ბოლომდე მიიყვანს, – აცხადებს კომისიის თავმჯდომარე

**კომერსანტი**

# რა კავშირი აქვს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გეოპოლიტიკასთან

## ჩეხი ექსპერტი: „რუსეთი მოწინააღმდეგეების მიმართ მრავალვექტორულ კამპანიას იყენებს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები – საპროტესტო აქციები, სააკაშვილის მუქარები, განცხადებები მოსკოვთან დიალოგის შესახებ თუ ინტელიგენციის ნაწილის ღია წერილი იმ სიტუაციის გამოძახილია, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიქმნა.

ერთი მხრივ, უფრო იძაბება ურთიერთობა რუსეთსა და აშშ-ს, ასევე რუსეთსა და ნატოს შორის, მეორე მხრივ, საომარი მოქმედებები და გავლენების გადანაწილება გრძელდება ახლო აღმოსავლეთში.

ბოლო დროს საქართველოში უთანხმოების ერთ-ერთი საგანი ნატო გახდა. ხალხის ნაწილი აპროტესტებს იმას, რომ საქართველო ნატოში შეიძლება მიიღონ ერთი პირობით. ამ პირობის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ოკუპირებულ რეგიონებში არ ამოქმედდება ნატოს მეხუთე მუხლი. ამ ადამიანების მტკიცებით, ეს ნიშნავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე უარის თქმას.

ამავე თეზისს ახმაურებენ კრემლთან დაახლოებული რუსი ექსპერტები. მათი მტკიცებით, ნატოს მომავალ სამიტზე, რომელიც ივლისში ბრიუსელში გაიმართება, დადგება ალიანსში საქართველოს გაწევრიანების საკითხი „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე.“ მათი განცხადებით, ეს ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა აღიაროს ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობა. ნატოში შესვლა, მათი მტკიცებით, გამოიწვევს საქართველოს კონფრონტაციას რუსეთთან.

მიმომხილველების აზრით, საქართველოს ნატოში შესვლის საკითხის აქტუალიზაცია გამოწვეულია რუსეთის გააქტიურებით კავკასიაში, ასევე – ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მწვავე მოვლენებით.

თურქეთი ნატოს წევრია, მაგრამ ის სულ უფრო შორდება ვაშინგტონს. რეგიონში ჰეგემონიისთვის მუშაობას აძლიერებს აშშ-ის მტერი ირანი. თუ ადრე საქართველო აშშ-ისთვის დაძაბულობის ზრდის შემთხვევაში სათადარიგო ადგილად განიხილებოდა, მთავარი საყრდენი კი თურქეთი იყო, ამჟამად მთავარ საყრდენად, პლაცდარმად იქცა. საქართველოს ტერიტორია საჭიროა იმისთვის, რომ აშშ-მ გავლენა




მოახდინოს პროცესებზე ახლო აღმოსავლეთში.

რუსეთის დიდი დაინტერესება საქართველო-ნატოს ურთიერთობის თემით კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ კრემლი საქართველოში ისევ აქტიურია. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შესაძლო შერბილებას ბევრი ოკუპანტის სურვილებს უკავშირებს. პარლამენტმა კანონის შერბილებას ერთი მოსმენით კენჭი უყარა. შემდეგ ეს პროცესი გაჩერდა. დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, ისევ დაიწყო საუბარი იმაზე, ეს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი მეტისმეტად მკაცრია.

სხვადასხვა თემის წამოწევისა და საზოგადოებაში არსებული უთანხმოების ფონზე ქვეყანაში გარდაუვალია დაპირისპირების ზრდა. ამ პროცესში რუსეთი, ალბათ, ნაცად და ახალ საშუალებებს გამოიყენებს.

ჩეხი ექსპერტი მარკ გალეოტი აცხადებს, რომ რუსეთი დასავლეთის მიმართ მრავალფეროვან იარაღს იყენებს. ეს შეიძლება იყოს საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა და საიდუმლო პოლიტიკური ზომების გამოყენება.

რუსეთის მრავალვექტორულ მიმართულებებში შედის პროპაგანდის გამოყენებით ქაოსის გამოწვევა.

ნატო ევროპაში წვრთნების ორჯერ გაზრდას აანონსებს. ორგანიზაციის გენმდივანმა ცოტა ხნის წინ აღნიშნა, რომ განხორციელდა კოლექტიური თავდაცვის ყველაზე მასშტაბური გაძლიერება ცივი ომის დამთავრების შემდეგ. ეს გამოიწვია რუსეთის აგრესიულმა მოქმედებებმა.

# რუსთავის ფოლადი: სასამართლოს არალოგიკურმა გადაწყვეტილებებმა დაგვაზარალა



კომპანია „რუსთავის ფოლადის“ გენერალური დირექტორის მოადგილე არჩილ მელიქაძე სასამართლოში არსებულ პრობლემებზე საუბრობს და აცხადებს, რომ სასამართლოს არალოგიკურმა გადაწყვეტილებებმა კომპანია სერიოზულად დააზარალა. კომპანიის წარმომადგენელი 2 შემთხვევაზე საუბრობს, როდესაც სასამართლომ, მისი აზრით, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება მიიღო.

ეს იყო 2014 წელს, როდესაც ერთმა პირმა შეიძინა ჩვენი კომპანიის ვალი მესამე პირისგან, რომელიც იყო სულ 4500 ლარის ოდენობით და სასამართლოს მოსთხოვა ვალის უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ვალის გადახდის ვადა სასამართლოსვე გადაწყვეტილებით 2019 წლამდე იყო.

სასამართლომ ჩვენ არ შეგვატყობინა და ჩვენი ქარხნის 200-მილიონიანი ქონება დააყადაღა ამ 4500 ლარის გამო. ეს ყოველგვარ ლოგიკას სცილდება. ჩვენი ყველა მცდელობა, ეს საქმე მოგვეგვარებინა, წინააღმდეგობას აწყდებოდა სასამართლოს მხრიდან, ამას 6 თვე დასჭირდა. ჩვენმა კომპანიამ სერიოზული ზარალი ნახა. გარდა ამისა, რამდენიმე ასეულმა ადამიანმა ზოგმა დროებით, ზოგმა მუდმივად დაკარგა სამუშაო ამ გადაწყვეტილების გამო. ჩვენ არც კი მოგვეცა საშუალება, ზიანის ანაზღაურება მოგვეთხოვა.

ასევე მეორე შემთხვევა, ჩვენ გვქონდა დავა ჩვენს ყოფილ თანამშრომელთან შრომით ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ჩვენ ის გავათავისუფლეთ და გვედავებოდა. სასამართლომ ეს შემთხვევა განიხილა და მოგვიყენა საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მაშინ, როდესაც ჩვენ ვართ კერძო კომპანია, – აცხადებს „რუსთავის ფოლადის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

# პარლამენტი ზარალის ანაზღაურების გარანტიის წარდგენის ვადას ზრდის

მოსარჩელის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების გარანტიის წარდგენის ვადა იზრდება.

საკონსტიტუციო სასამართლოში „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ საქართველოს პარლამენტისთვის მოგებული საქმის შესაბამისად, ცვლილება „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შედის და კოდექსის 199-ე მუხლი ახლებურად ყალიბდება.

კერძოდ, პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია განახორციელოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული 7 დღის ნაცვლად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

ინიცირებული კანონპროექტი



დავის განმხილველ სასამართლოს ანიჭებს დისკრეციას, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, თავად განსაზღვროს ვადა გონივრული დროით, რაც სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას შეესაბამება. ამასთან, განისაზღვრა სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადად 5 დღე, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ იყო რეგულირებული და არ იძლეოდა უფლების დაცვის გარანტიას.

– ჩვენ, ეს კანონპროექტი გადავუგზავნეთ მთავრობას, ასევე სხვა უწყებებსაც. ყველა მოსაზრება გავითვალისწინეთ და საბოლოოდ ეს რედაქციაა შემოთავაზებულია, სადაც ზუსტად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დაკონკრეტდა ვადა, – განაცხადა კანონპროექტის ინიციატორმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ. კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

შეგახსენებთ, კომპანია ჯორჯიან მანგანეზი მიიჩნევდა, რომ 7-დღიანი ვადა იყო არაგონივრულად მცირე,ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების გარანტია დიდი ოდენობის თანხის მობილიზებას გულისხმობს, რისთვისაც ობიექტურად საჭიროა 7 დღეზე მეტი დრო.

# 270 დაჯარიმებული და 120 შეჩერებული მშენებლობა თბილისში — მერიამ დარღვევებზე 500 ობიექტი გააფრთხილა

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, სამშენებლო უსაფრთხოების იგნორირების თუ დარღვევით მიმდინარე პროექტებზე გაფრთხილება 500 ობიექტს აქვს მიცემული.

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ამ 500 ობიექტიდან უკვე დაჯარიმებულია 272 სამშენებლო ობიექტი; ხოლო 120 მშენებარე ობიექტის მიმართ შეჩერების დადგენილება ამოქმედდა. ამასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურმა შეადგინა ოქმი საარჩევნო პლაკატების ჩამოუხსნელობის გამო და შედეგად, 59 კონკრეტული ლოკაციაა გამოვლენილი. მგონია, რომ პოლიტიკოსებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო მეტი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ პლაკატები, რომელიც წინასაარჩევნოდ არის გაკრული, არ დატოვონ და ჩამოხსნან, რადგან ეს ყველაფერი ამახინჯებს და აბინძურებს გარემოს, - აღნიშნა კალაძემ.

მისივე თქმით, ამ მიმართულებით სანქციები გამკაცრდება და ჯარიმები გაიზრდება.

# რატომ ვერ გასცემენ ბანკები სასოფლო-სამეურნეო სესხებს?

## ფერმერებს ფინანსების მოძიება უჭირთ

– დღეს საბანკო სექტორი თავს იკავებს სასოფლო-სამეურნეო სესხების გაცემისგან, რადგან უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვის შესახებ დაანონსებული რეგულაცია უარყოფითად აისახება მის საქმიანობაზე. ბანკები ძირითადად უცხოურ კაპიტალზე არიან ორიენტირებულნი. ხშირია შემთხვევა, როცა ვერ მოხდა სესხის დაფარვა, მიწა გავიდა აუქციონზე და ვერ გაიყიდა, ამ დროს კი რეგულაციის მიხედვით ბანკი მას ვერ იფორმებს. აღნიშნულმა კანონმა გაზარდა მსგავსი რისკები, – ასე აფასებს არსებულ ვითარებას ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურა გვასალია.

მისივე თქმით, ახალი რეგულაციის მიხედვით ბანკებს ეძლევათ ორ წლიანი ვადა, რათა მიწა კვლავ საქართველოს მოქალაქეზე გაიყიდოს, თუმცა შეიძლება დათქმულ ვადებში ეს ვერ მოხდეს. ამ შემთხვევაში ბანკი გაურკვეველ სიტუაციაშია. აღნიშნული რეგულაციით უფრო სერიოზული პრობლემები შეექმნება თავად სოფლის მეურნეობას და ამ სექტორში დასაქმებულ ხალხს.

ზურა გვასალიას პოზიციას იზიარებს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ასლანიშვილიც.

– იგივე შემიძლია ვთქვა, აქ სერიოზული პრობლემებია ორივე მხარისთვის, ამიტომ საკითხის ორგანული კანონით დარეგულირება არის აუცილებელი. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ზოგადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აგრარულ სფეროში აღარ შემოვა. წინასწარ მიჭირს დეტალურად საუბარი, თუმცა, იმედია, ეს ყველაფერი კანონში დაზუსტდება, – აღნიშნავს ასლანიშვილი.

უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვის რეგულაცია რომ ადგილობრივ ფერმერებსა და კოოპერატივებს მნიშვნელოვნად აზარალებს, ამას ადასტურებს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პრეზიდენტიც ნინო ზამბახიძე. მისი თქმით, უკვე მკვეთრად მოიმატა იმ ფერმერთა რაოდენობამ, რომელსაც ბანკში სესხი არ დაუმტკიცდათ.




– უკვე ველარავინ იღებს სესხს და არაერთი ფერმერი მოგვმართავს დახმარებისთვის, თუმცა სამწუხაროდ ჩვენ ვერაფრით ვეხმარებით. განსაკუთრებით დიდი პრობლემის წინაშე დგანან ისინი, რომლებმაც დაიწყეს ოპერირება და გაფართოების მიზნით ფინანსური რესურსი სჭირდებათ. რეგიონებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა არც ადრე იყო მარტივი, მაგრამ ახლა ათასჯერ გაუარესებულია, – აღნიშნავს ზამბახიძე.

როგორც დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი განმარტავს, ახალი რეგულაციით თუ პირი ვერ დაფარავს სესხს, მიწა კვლავ ბანკის ანუ უცხოელის საკუთრებაში გადადის და ეძლევა ერთი ან ორი წლის ვადა რათა მიწა ისევ საქართველოს მოქალაქეზე გაასხვისოს. მისი თქმით, ეს არის გამოსავალი, თუმცა, ზოგადად, უმჯობესია, თუ სასოფლო-სამეურნეო სესხებს ბანკები აღარ გასცემენ.

– ახალი რეგულაცია არის ერთგვარი გამოსავალი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო განვითარებას ხელს შეუწყობს. ზოგადად ნებისმიერი კომერციული ბანკი სწრაფ მოგებაზეა ორიენტირებული, ამიტომ ჩვენ, ვგულისხმობ პარტიას, გვაქვს იდეა შეიქმნას ალტერნატიული დაფინანსების გზები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის, აგრარული განვითარების ბანკი ან ფონდი, რომელიც სწორედ აღნიშნული მიმართულების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, – აღნიშნა ბექა ნაცვლიშვილმა.

# „სატრანსპორტო პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მართვის მოწმობაა“

„სატრანსპორტო პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მართვის მოწმობაა“, – ასე შეაფასა „ტრანსპორტის და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა თბილისში სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელიც დღეს ხორციელდება.



რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები“ მესხიშვილმა განაცხადა, რომ მართვის მოწმობის აღება დღეს ქვეყანაში საკმაოდ მარტივად ხდება.

– ჩვენი მთავარი პრობლემა არის მართვის მოწმობა, რომელიც გაიცემა პირებზე, რომლებმაც არ იციან ტარება. ე.წ ავტოსკოლები ამზადებენ ადამიანებს ხრიკების მეშვეობით და ასწავლიან, როგორ ჩააბარონ მარტივად. პრაქტიკული გამოცდა არის დახურულ მოედანზე. საბოლოო ჯამში კი მართვის მოწმობას არანაირი უნარჩვევები არ აქვს. ჩვენ ვითხოვთ გერმანული მოდელის დანერგვას. აუცილებელია ავტოსკოლებმა გაიარონ ლიცენზირება, იქ უნდა იყვნენ კვალიფიცირებული ინსტრუქტორები. გამოცდა კი იქნას ქალაქში გატანილი, – განაცხადა დავით მესხიშვილმა.

დავით მესხიშვილი ქალაქის განვითარების გეგმის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს:

– ევრო დირექტივები უნდა შევასრულოთ დროულად და დავნერგოთ ყველაფერი ის, რასაც გვირჩევენ იმიტომ, რომ მათ ეს უკვე გაიარეს წარმატებულად. ამიტომ არ გვინდა ახალი ველოსიპედების მოგონება რომელიც ან გაამართლებს, ან არა. აუცილებელია შევიმუშაოთ ქვეყნის და ქალაქის განვითარების გეგმა, რომელსაც მკაცრად გავყვებით, – განაცხადა დავით მესხიშვილმა.

**„კომერსანტი“**

# ცემენტის მთლიანი ბაზრის 13% უხარისხოა




საქართველოს ცემენტის ასოციაციის ინიციატივით 2017 წელს ღია ბაზარზე ხელმისაწვდომი შეფუთული ცემენტის სამი ფარული ტესტირება ჩატარდა. ტესტირების შედეგების მიხედვით, 2017 წლის დეკემბერში შეძენილი 25 ნიმუშიდან თოთხმეტმა (14) ვერ გაიარა ტესტი, ხოლო სამმა (3) ზღვარს თითქმის მიაღწია. აღნიშნული ტესტირება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აკრედიტებულმა ლაბორატორიამ განახორციელა, ხოლო „საქექსპერტიზამ“ ნიმუშების ანონიმური შეძენა უზრუნველყო. ევროპული (EN 197-:2011) სტანდარტების მიხედვით, მშენებლობის და სარემონტო სამუშაოებისთვის ვარგისი ცემენტის სიმტკიცე კუმშვაზე უნდა აღემატებოდეს 32.5 Mpa-ს.

ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით, 2017 წლის აპრილის მონაცემებით, ოცდახუთი (25) ტესტირებული სხვადასხვა ცემენტიდან მხოლოდ რვამ (8) დააკმაყოფილა EN სტანდარტები. 2017 წლის აგვისტოში კი, ოცდაშვიდი (27) შემოწმებული სხვადასხვა ცემენტიდან მხოლოდ ოთხმა (4) დააკმაყოფილა აღნიშნული სტანდარტი. როგორც ჩანს, ხარისხიანი ცემენტის წარმოებისთვის საჭირო ძირითადი ნედლეულის ნაცვლად, ადგილობრივი მწარმოებლები ხშირ შემთხვევაში იაფფასიან შეუსაბამო მასალებს იყენებდნენ. ნათელია, რომ ამ მწარმოებელთა მიზანს ფასის და უსაფრთხოების მიხედვით მომხმარებელთა ხარჯზე მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენდა. შარშან დაახლოებით 300,000 ტონა ასეთი ცემენტი იქნა გაყიდული, რაც ცემენტის მთლიანი ბაზრის 13%-ს შეადგენს.

2017 წლიდან, საქართველოს ბაზარზე ცემენტის ხარისხს საქართველოს ცემენტის ასოციაცია (GCA) აკონტროლებს. ცემენტის ასოციაციის მიზანია დაეხმაროს ქართველ მწარმოებლებს, აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომელიც შეფუთვაზე დატანილ სტანდარტებს შეესაბამება. საქართველოს ცემენტის ასოციაციის დღის წესრიგში ასევე სახელმწიფო უწყებებთან და სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო კომუნიკაცია წარმოადგენს.

„თბილისი მარიოტში“ საქართველოს ცემენტის ასოციაციის პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც საქართველოში წარმოებული შეფუთული ცემენტის მესამე ფარული ტესტირების შედეგები იქნა წარმოდგენილი.

# თბილისში ღამის ეკონომიკას სერგი გვარჯალაძე განავითარებს

კახა კალაძემ ღამის ეკონომიკის განვითარების კონცეფციის პროექტის ხელმძღვანელი, სერგი გვარჯალაძე წარადგინა და განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელების საშუალებით, დედაქალაქის გარეუბნები განვითარდება.



„ბევრ თანამედროვე ქვეყანაში ძალიან კარგად არის განვითარებული ეს მიმართულება და მგონია, რომ ამას ყურადღება თბილისშიც აუცილებლად უნდა დაეთმოს. ეს ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. კონცენტრაცია არ უნდა იყოს მხოლოდ ცენტრალურ რაიონებსა და უბნებზე. ამ პროექტის განხორციელების საშუალებით, შეგვიძლია, გარეუბნებში გავიდეთ და ისეთი ადგილები გავაცოცხლოთ, სადაც ჯერ კიდევ ისეთი მდგომარეობა არ არის, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვინდა, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა პროექტის ხელმძღვანელს წარმატება უსურვა და აღნიშნა, რომ ერთიანი ძალისხმევით, დედაქალაქისთვის ბევრი სასიკეთო და მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

– რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, მინდა წარმოგიდგინოთ ადამიანი, ვინც მას უხელმძღვანელებს. პროექტს ყველასთვის კარგად ნაცნობი ტელეპროდიუსერი, მუსიკოსი და გამოცდილი მენეჯერი სერგი გვარჯალაძე ჩაუდგება სათავეში. მინდა მას წარმატებები ვუსურვო და დარწმუნებული ვარ, რომ ერთიანი ძალისხმევით, ჩვენი ქალაქისთვის ძალიან ბევრ სასიკეთო და მნიშვნელოვან საქმეს გავაკეთებთ, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

## რუსთავში ქალი მოკლეს



„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, რუსთავში ფალიაშვილის ქუჩის №1-ში, საცხოვრებელ სახლში ქალის ცხედარი იპოვეს. ცხედარი გარდაცვლილის შვილმა ნახა. ადგილზე საპატრულო და კრიმინალური პოლიციაა მობილიზებული. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

შს სამინისტრომ გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## ავარია ბათუმში — გარდაცვლილია 50 წლამდე მამაკაცი




ბათუმში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 50 წლამდე მამაკაცი გარდაიცვალა.

თვითმხილველების ინფორმაციით, გოგოლის ქუჩაზე ერთმანეთს ორი ავტომანქანა შეეჯახა.

ადგილზე სამართალდამცველები არიან მობილიზებული.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს.

## აფეთქება ოზურგეთში — მონადირეთა მაღაზია მთლიანად დაიწვა, დაშავებულია მეპატრონე




ოზურგეთის აგრარულ ბაზარში არსებულ მონადირეთა მაღაზიაში ცეცხლი გაჩნდა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, თავდაპირველად აფეთქების ხმა გაიგეს, რის შემდეგაც ძლიერი ცეცხლი გაჩნდა.

მაღაზია მთლიანად დაიწვა, მისი მეპატრონე კი დაშავებულია, მას სახის არეში დამწვრობა აღენიშნება.

## გიორგი სანაიას საქმე — პროკურატურაში ვახო სანაიას დაკითხვა მიმდინარეობს



გიორგი სანაიას საქმე — პროკურატურაში ვახო სანაიას დაკითხვა მიმდინარეობს.

სანაიას მკვლელობის საქმეზე დაწყებული გამოძიება ერთ-ერთი მსჯავრდებულის, კოტე ციხისთავის სატელევიზიო ინტერვიუსაც შეეხება.

ვახო სანაია აცხადებს, რომ ციხისთავმა გაავრცელა სხვადასხვა ინფორმაცია, რომელიც მკვლელობის საქმეს უკავშირდება და დაასახელა მკვლელობის შემკვეთები. მისივე თქმით, ციხისთავი უკვე გამოკითხეს აღნიშნულ საქმეზე.

ვახო სანაია აცხადებს, რომ მისი ძმის მკვლელობა იყო პოლიტიკური და იყო შეკვეთილი.

## მკვლელობა ხორავაზე — ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მოწმემ ჩვენება შეცვალა



ბრალდებულის ადვოკატის ტარიელ კაკაბაძის განცხადებით, ერთ-ერთმა მოწმემ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება შეცვალა. ადვოკატის თქმით, ბრალდების მხარემ მოწმის პირდაპირი წესით დაკითხვა დაასრულა და დაცვის მხარე დაიწყებს მოწმის ჯვარედინი წესით დაკითხვას:

— მოწმემ სასამართლოს მიაწოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუ როგორ დაიწყო კონფლიქტი, როგორ გაგრძელდა, როგორ დასრულდა. გარკვეულ დეტალებთან დაკავშირებით მან არსებითად და აბსოლუტურად შეცვალა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება. მან ისაუბრა ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება იმ ფაქტებს, რაზეც საუბარია გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებში, — აღნიშნა ადვოკატმა.

## ყალბი დიპლომების დამზადება-გასაღებასა და კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ორი პირი დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების და კომერციული მოსყიდვის ფაქტზე, ორი კომერციული სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი პირი ამხილა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში ბრალდებულმა, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დაამზადა და 3 300 ლარად გაასაღა აჭარის რეგიონში არსებული ერთ-ერთი კომერციული დაწესებულების სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი ყალბი დიპლომი.

ხოლო მეორე შემთხვევაში, იმერეთის რეგიონში არსებული სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელმა დაამზადა და 1 800 ლარად გაასაღა ოფისმენეჯერის სპეციალობის პროფესიული განათლების დამადასტურებელი ყალბი დიპლომი.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი და 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

# კიდევ ერთი პოლიტპატიმრის საქმე გადაისინჯება

— პროკურატურის შუამდგომლობით კიდევ ერთი პოლიტპატიმრის, დავით ტატიშვილის საქმე გადაისინჯება, ერთ დაზარალებულ მოქალაქეს კი უკანონოდ ჩამორთმეული ავტომანქანები დაუბრუნდება, — ამის შესახებ პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მორიგი შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიიღო, რის საფუძველზეც პოლიტპატიმარ დავით ტატიშვილის საქმე გადაისინჯება, დაზარალებულ ემზარ ბასილაიას უკანონოდ ჩამორთმეული ორი ავტომანქანა დაუბრუნდება, ხოლო ორი მსჯავრდებულის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეს, პროკურატურის განმარტებით, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, უწყება გამოძიების დასრულების შემდეგ იმსჯელებს მის მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე.

— საქართველოს პროკურატურის მიერ გახსნილი მორიგი დანაშაულებრივი ფაქტების შედეგად დადგენილია: 2007 წლის 07 ნოემბერს, დავით ტატიშვილი, როგორც ოპოზიციურად განწყობილი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა რუსთაველზე და შემდგომ რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაში. ხსენებული აქციიდან 3 დღეში, საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოცილების და 7 ნოემბრის აქციაში მონაწილეობის გამო მისი დასჯის მიზნით, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დააკავეს დავით ტატიშვილი და ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

2008 წლის 10 ივლისს, დავით ტატიშვილის მიმართ გაყალბებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და მას მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2012 წელს, მანამ, სანამ პოლიტპატიმრის სტატუსს შეიძენდა, მან პრეზიდენტის შეწყალებით დატოვა საპატიმრო დაწესებულება.

ახალი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებით გამოვლინდა სრულიად ახალი მტკიცებულებები და გარემოებები, რაც ადასტურებს პოლიტპატიმარ დავით ტატიშვილის უდანაშაულობას. აქედან გამომდინარე, პროკურატურა მიმართავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გაუქმების მოთხოვნით.

გარდა ამისა, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობით, 2018 წლის 05 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების – ლაშა



წურწუმიას და ალიკო ხარჩილავას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

2005 წლის ნოემბერში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა მითვისების ბრალდებით დააკავა შპს „ოდაბადეს“ წარმომადგენლები – ლაშა წურწუმია და ალიკო ხარჩილავა, რომლებმაც თითქოსდა საქართველოს რკინიგზა შეიყვანეს შეცდომაში და მიწოდებული საქონლის ღირებულება, ნაცვლად ლარისა, მიიღეს დოლარში, რითაც მიაყენეს 34 960 ლარის ზიანი. სინამდვილეში საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებმა დამალეს დოლარში დაფიქსირებული სატენდერო წინადადება და საგამოძიებო სამსახურს მიაწოდეს ყალბი ინფორმაცია, რაც გახდა საფუძველი ლაშა წურწუმიას და ალიკო ხარჩილავას უკანონო დაპატიმრების.

სამართალდამცავების გადაწყვეტილებით ლაშა წურწუმია და ალიკო ხარჩილავა მხოლოდ მას შემდეგ გათავისუფლდნენ პატიმრობიდან, როცა მათ მიერ განხორციელდა არარსებული ზიანის დაფარვა და ჯარიმის სახით თითოეულმა მათგანმა გადაიხადა 30 000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულიად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებები და ახლად გამოვლენილი გარემოებები და ორივე მსჯავრდებული უდანაშაულოდ ცნო.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ლაშა წურწუმიასთან და ალიკო ხარჩილავასთან ერთად, ამ დროისთვის დეპარტამენტს სულ 54 უკანონოდ გასამართლებული მსჯავრდებულის მიმართ აქვს განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიღებული, საიდანაც 18 მათგანის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი აგრძელებს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას.

დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი დანაშაულებრივი ფაქტი. 2010 წლის აპრილში შსს ძველი თბილისის პოლიციის თანამშრომლებს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვის ფაქტზე დაკავებული ჰყავდათ მოქალაქე გ.ბ., რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დაკავებულის მამას ემზარ ბასილაიას ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, უკანონოდ მოსთხოვა და შეასყიდინა მთლიანობაში 182 000 ლარის ღირებულების „ტოიოტა ლენდკრუიზერი ჩ200“ და „ჰიუნდაი IX 55“, რომლებიც ჩუქების გზით სახელმწიფოს გადაეცა. მხოლოდ ამის შემდეგ გ.ბ.-სთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება პირობით სასჯელზე.

ჩვენ მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, დაზარალებულ მოქალაქეს დაუბრუნდება უკანონოდ ჩამორთმეული ორივე ავტომანქანა.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა გამოძიების დასრულების შემდეგ იმსჯელებს მის მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე.

ამ დროისთვის ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, დაზარალებულად ცნობილ 151 მოქალაქეს დაუბრუნდა დაახლოებით 44 მილიონი ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის ავტომანქანები, საცხოვრებელი ბინები, საოფისე და კომერციული ფართები, ღვინის ქარხანა, საცურაო კომპლექსი, სასტუმრო კომპლექსი, მიწის ნაკვეთები და ა.შ., — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

## „გავიგუდე, ყელში ნუ მიჭერ“ — 25 წლის ახალგაზრდა პოლიციას ძალადობაში ადანაშაულებს, რას ამბობენ შს სამინისტროში



მოქალაქე გიორგი ქიტოშვილი სამართალდამცავებს ძალადობაში ადანაშაულებს. 25 წლის ახალგაზრდა თელავში, გუშინ, გვიან ღამით დააკავეს.

მისმა მეგობარმა კი გუშინვე დაკავების ამსახველი ვიდეო გაავრცელა, სადაც ქიტოშვილი ყვირის: „გავიგუდე, ყელში ნუ მიჭერ“.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ძალის გადამეტებას გამორიცხავენ და აღნიშნავენ, რომ ქიტოშვილმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია.

გამოძიება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე (საქართველოს ასკ-ს 173-ე მუხლით) მიმდინარეობს.

დაკავებულის მამა აცხადებს, რომ მისი შვილი იმ ავტომობილს არ მართავდა, რომელიც პოლიციამ გააჩერა.

„ჯარიმა უნდა დაეწერათ, ამან უთხრა, რატომ გვიწერთო... ვის უნდა უჩივლო, სად არის ქვეყანა?!“ – აცხადებს დაკავებულის მამა.

გიორგი ქიტოშვილის ბრალდებებს გახარიას უწყებაში უკვე უპასუხეს.

შსს-ის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, თეიმურაზ კუპატაძემ განაცხადა, რომ სამართალდამცველებმა პროპორციული ძალა გამოიყენეს და ძალის გადამეტებას ადგილი არ ჰქონია.

– პატრულ-ინსპექტორები კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ და მათ გამოიყენეს პროპორციული ძალა. მოქალაქე გიორგი ქიტოშვილი იყო მგზავრი. სამართალდამრღვევ მძღოლს არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა საპატრულო პოლიციასთან, მგზავრი გადმოვიდა და პატრულ-ინსპექტორებს ხელს უშლიდა მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. არაერთგზის მოწოდებისა, რომ ის წასულიყო და დამჯდარიყო მანქანაში, არ ემორჩილებოდა პატრულ-ინსპექტორის კანონიერ მოთხოვნებს. ამის შემდეგ მათ მოახდინეს მისი დაკავება. ვნახე ვიდეოკადრები, ასევე სხვა კადრებიც მაქვს ნანახი, პოლიციამ პროპორციული ძალა გამოიყენა. არანაირ გადამეტებას არ ჰქონია ადგილი, – განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, თეიმურაზ კუპატაძემ.

# აფეთქება დონეცკის ცენტრში



დონეცკის ცენტრში დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. დაზარალდნენ მის ახლოს მდგომი ქალი და მამაკაცი. ქალი დაიღუპა, კაცი მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მოათავსეს.

ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ზახარჩენკომ მომხდარში უკრაინელები დაადანაშაულა და რეგიონში რუსული არმიის დამატებითი ნაწილების შეყვანა მოითხოვა:

– უკრაინელები სამშვიდობო შეთანხმებებს არღვევენ! დონბასის მოსახლეობის გენოციდი გრძელდება! გვიშველეთ!

# ასადმა კვლავ ქიმიური იარაღი გამოიყენა



ჰუმანიტარული პაუზის მიუხედავად, აღმოსავლეთ გუტაში საომარი მოქმედებები გრძელდება. პარტიზანებმა ასადის არმიას რამდენიმე დაკავებული პოზიციიდან დაახევინეს. ამის შემდეგ ასადელებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

შედეგად 94 ადამიანი დაიღუპა.

# ჩეჩნეთში სპეცსამსახურის ვერტმფრენი ჩამოვარდა



ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთი სპეცსამსახურის ვერტმფრენი, მი-8 ჩამოვარდა, დაიღუპა სულ მცირე 5 ადამიანი. 2 ადამიანი გადარჩა.

ვერტმფრენი მი-8 სპეცსამსახურების ერთ-ერთ დანაყოფს ეკუთვნოდა.

ვერტმფრენი ხანგიხის ხეობაში მოსკოვის დროით 10.59 საათზე ჩამოვარდა. ინციდენტის მიზეზები დგინდება.

# პუტინი ამ არჩევნებს სტალინთან მაგრად წააგებდა

## რა აჩვენა გამოკითხვამ



რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება.

ლევადა ცენტრის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა საინტერესო შედეგი აჩვენა. შეკითხვაზე, კენჭს სტალინი და პუტინი რომ იყრიდნენ, ხმას ვის მისცემდითო, 60%-მა უპირატესობა სტალინს მისცა. პუტინს მხარი მხოლოდ 34%-მა დაუჭირა. დანარჩენი რესპონდენტები მზად არ არიან, რათა ამ შეკითხვას პასუხი გასცენ.

პოლიტოლოგი გუზმანი მიიჩნევს, რომ რუსული საზოგადოების ასეთი განწყობა შემთხვევითი არაა. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა დემოკრატიული იდეალების დისკრედიტირებისთვის. დღეს, როცა რუსეთის საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ თავად საარჩევნო პროცესი ოპერეტად გადაიქცეს.

– შემთხვევითი როდია, რომ დებატებზე ხშირია ჩხუბი და ლანძღვა-გინება. პირები, რომლებიც დებოშს ტეხენ, ფსბ-ს აგენტები არიან. ეს ყველასთვის ცნობილია, – ამბობს გუზმანი.

ექსპერტის აზრით, პოლიციური რეჟიმის გამკაცრება და რეპრესიები გარდუვალია. მიზეზი მარტივია: განვლილი 25 წლის მანძილზე რუსეთში ვერც სამოქალაქო საზოგადოება აშენდა და ვერც ძლიერი საშუალო ფენა ჩამოყალიბდა. რუსეთი კორუმპირებულ სახელმწიფოდ დარჩა, სადაც არსებობენ ძალიან მდიდრები (უმცირესობა) და ძალიან ღარიბები (უმრავლესობა). ასეთ საზოგადოებას ახასიათებს შოვინიზმი, აგრესიულობა, შეურიგებლობა. შესაბამისად, სტაბილურობის შესანარჩუნებლადაც ორი კომპონენტია აუცილებელი: შოვინისტური იდეოლოგია და რეპრესიები.

– პუტინის შემდგომი პოლიტიკაც ამ ორი კომპონენტის ერთობლიობა იქნება, – თვლის გუზმანი.

# მაიკ პენსი: „აშშ უკრაინას მხარს უჭერს!“



შედგა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსისა და უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს სატელეფონო საუბარი.

პენსმა კვლავ დაადასტურა ვაშინგტონის მხარდაჭერა კიევისადმი.

– აშშ უკრაინას მხარს უჭერს, – ამბობს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი.

პენსმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები არა თუ შემცირდება, არამედ გაიზრდება კიდეც. ეს მანამ გაგრძელდება, სანამ რუსეთი მინსკის შეთანხმებებს არ შეასრულებს და ყირიმს უკრაინას არ დაუბრუნებს.

პოროშენკომ მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ უკრაინა-აშშ-ის სავაჭრო ურთიერთობები გაფართოვდებოდა და ინვესტიციების რაოდენობა გაიზრდებოდა.

პენსმა ამაზე მიუგო:

– ეს აუცილებლად მოხდება!

ამავე დროს, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა კვლავ გაიმეორა, რომ უკრაინამ უნდა გაამძაფროს ბრძოლა კორუფციასთან, რეფორმებმაც უფრო რადიკალური ხასიათი უნდა მიიღოს.

– სხვაგვარად თანამედროვე უკრაინული სახელმწიფო ვერ აშენდება, – აცხადებს პენსი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ძაღლზე თავდასხმამ პოლიციას ძველი საქმე გაახსნევინა



დიდ ბრიტანეთში მოძალადე დანაშაულის ჩადენიდან 25 წლის შემდეგ ჩასვეს ციხეში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 58 წლის მარკ ჰემინგსი პოლიციის ძაღლზე თავდასხმისთვის დააკავეს და მას დნმ-ის ტესტი ჩაუტარეს, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა.

პოლიციელებმა მამაკაცს ბინაში 2017 წლის ზაფხულში მას შემდეგ მიაკითხეს, როდესაც მისი მეზობლებისგან შეტყობინება მიიღეს, რომ ჰემინგსი ქუჩაში დადიოდა და ცივ იარაღს აქეთ-იქით იქნევდა. იმისთვის, რომ დაეკავებინათ, პოლიციელებმა ძაღლი მიუშვეს, გერმანული ავჩარკა სახელად კანტო. მამაკაცმა მას 20 სანტიმეტრიანი დანა ჩაარტყა. დამნაშავე დააპატიმრეს და გენეტიკური მასალის ანალიზი აუღეს, რომელიც დაემთხვა მოძალადის დნმ-ს, რომელიც ქალს 1993 წელს პარკში თავს დაესხა.

პროკურორმა ჯეიმს კილიმ აღნიშნა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი 2015 წელს გარდაიცვალა. მან ბოლომდე ვერ დაძლია ტრავმის შემდგომი აშლილობა: ინციდენტის შემდეგ ქალი მეუღლეს გაშორდა, ალკოჰოლს მიეძალა და ორი ნერვიული აშლილობა გადაიტანა.

პოლიციის ძაღლი კანტო გამოჯანმრთელდა და სიმამაცისთვის ჯილდოზე იქნა წარდგენილი.

ამ დღეებში სასამართლომ ჰემინგსი დამნაშავედ ცნო გაუპატიურებაში და 10,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ვადაზე ადრე განთავისუფლების უფლების გარეშე. მოსამართლემ ასეთი მკაცრი განაჩენი იმით ახსნა, რომ ჰემინგსი მთელი ამ 25 წლის მანძილზე მშვიდად ცხოვრობდა, მაშინ როდესაც, ამგვარი ცხოვრების საშუალება თავის მსხვერპლს მოუსპო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქარიშხალმა ისტორიამდელ ტყეს ქვიშა გადაატალა



დიდ ბრიტანეთში ქარიშხალმა ქვიშა გადახვეტა, რომლის ქვეშაც ისტორიამდელი ტყე იყო დაფარული.

გაქვავებული ტყე ნორტ-იოკშირის საგრაფოს საპორტო ქალაქ ჰარტლპულის მახლობლად მდებარეობს. ქარიშხლის შემდეგ დაახლოებით 400 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობზე ნათლად გამოჩნდა ხეების კუნძები. დანარჩენი კი წყლის ქვეშაა მოქცეული.

წყალზე მაშველმა გარი ვომ, რომელსაც მთელი ცხოვრება ჰარტლპულში აქვს გატარებული, განაცხადა, რომ ბოლოს გაქვავებული ტყე დაახლოებით 40 წლის წინ ნახა, როდესაც თანაკლასელებთან ერთად ექსკურსიაზე იმყოფებოდა.

ისტორიამდელი ტყე ჰარტლპულში 1871 წელს იქნა აღმოჩენილი. გაქვავებული ხეების გარდა, იქ ასევე იპოვეს ირმისა და ტახის ძვლები, ასევე ძველებური სანადირო მოწყობილობები. გეოლოგები ამ აღმოჩენას მეზოლითის პერიოდით ათარიღებენ, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე ჩვენი ერის მეხუთე ათასწლეულამდე გრძელდებოდა.

# არასწორად გაჩერებულმა ჯიპმა ამერიკული ოჯახი სიკვდილისგან იხსნა



აშშ-ში ქარიშხლის დროს ჯიპმა ხის დაცემისგან იხსნა სახლი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ქალაქ უეირჰემის მცხოვრებმა, რომელიც მასაჩუსეტსის შტატში მდებარეობს, გლენ შარპმა განაცხადა, რომ თავისი მანქანა ჯიპ გრანდ ჩეროკი ფიჭვის ქვეშ გააჩერა. ქარიშხლის დროს ხე წაიქცა, მაგრამ ეს დარტყმა მისმა ყველგანმავალმა მიიღო.

– ისეთი ძლიერი ხმა იყო, იფიქრებდი, რომ სახლი აფეთქდა, – განაცხადა შარპის დედამ.

– მე მანქანა სხვა ადგილას რომ გამეჩერებინა, და ასეც გავაკეთებდი, უბრალოდ, ძალიან ვჩქარობდი, დედას და ჩემ დას შესაძლოა არა მხოლოდ ტრავმები მიეღოთ, არამედ დაღუპულიყვნენ კიდეც, – აღნიშნა შარპმა.

ხის შესაძლო დაცემის ადგილზე მდებარეობდა ოთახი, სადაც ქალებს ეძინათ. ადგილობრივ მეხანძრეებს ხე ჯერაც არ აუღიათ, ვინაიდან ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, ეს როგორ გააკეთონ ისე, რომ სახლი არ დაინგრეს.


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# რეალმა პსჟ დაჩაგრა, ლივერპული მეოთხედფინალში მშვიდად გავიდა

**პსჟ-რეალი 1:2**

**პარიზი.** პარკ დე პრენსი

0:1 რონალდუ (52), 1:1 კავანი (71), 1:2 კაზემირო (80)

**პსჟ:** არეოლა, დანი ალვეში, ტიაგო სილვა, მარკინიოსი, ბირჩეჩე, ვერატი, ტიაგო მოტა (პასტორე 59), რაბიო, დი მარია (დრაქსლერი 76), კავანი, მბაპე (დიარა 85)

რეალი: ნავასი, კარვახალი, რამოსი, ვარანი, მარსელო, ვასკესი, კაზემირო, კოვაჩიჩი (კროოსი 72), ასენსიო (ისკო 82), ბენზემა (ბეილი 76), რონალდუ

**გაძევება:** ვერატი (66)

ბევრი ელოდა პარიზული კლუბის გმირობას, მაგრამ ასე არ მოხდა. უნაი ემერი ისევ არ არის მზად ტიტანებთან საბრძოლველად. საერთოდ, პსჟ-ს თავკაცი მშიშარა მწვრთნელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან, ვერ იყენებს თავისი ფეხბურთელების შესაძლებლობებს და ვერც ტაქტიკურ განსწავლულობას მოვუწონებთ.



პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარი იყო, მაგრამ რეალი უფრო მწვავედ გამოიყურებოდა. ამასთან, უფრო მიზანდასახული და უკეთესად განწყობილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მადრიდელები მთლად ოპტიმალური შემადგენლობით არ იყვნენ, ზინედინ ზიდანმა თავის ვიზავის აშკარად მოუგო დუელი.

პსჟ აგრესიას უფრო არასაფეხბურთო კომპონენტებში გამოხატავდა, საფეხბურთო კი ძალიან უჭირდა. ამიტომაც ლოგიკური იყო, რომ პირველი გოლი გაუშვა. მასპინძლებს რამის შეცვლის პოტენციალი არ ჰქონდათ, ამიტომაც უფრო ნერვიულად თამაშობდნენ და ამის გამო მიაბრძანეს მოედნიდან მარკო ვერატი, რომელიც საუკეთესო იყო მათ შემადგენლობაში.

მოულოდნელად ანგარიში კი გათანაბრდა, მაგრამ ეს იყო იღბლისა და შემთხვევითობის „თაიგული". პლუს, პსჟ-ს მეტი ძალაც არ ჰქონდა და რეალმა მშვიდად მიიყვანა ბოლომდე დაწყებული საქმე.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — ლუკას ვასკესი**

ბევრი ფეხბურთელის გამოყოფა შეიძლება რეალიდან: ქარიმ ბენზემა, მარკო ასენსიო, რონალდო, სერხიო რამოსი და რაფაელ ვარანი, მაგრამ ვასკესი გამოვარჩიეთ. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ძალიან ბევრი იშრომა, შავი სამუშაოც ბლომად ასრულა და რონალდუსაც გაატანინა გოლი, რომელმაც ბოლომდე მოსპო პსჟ.

**ლივერპული-პორტუ 0:0**

**ლივერპული.** ენფილდ როუდი

**ლივერპული:** კარიუსი, გომესი, მატიპი, ლოვრენი, მორენო, ემრე ჯანი (კლავანი 80), ჰენდერსონი, მილნერი, მანე (სალაჰი 74), ფირმინო (ინგსი 62), ლალანა

**პორტუ:** კასილიასი, მაქსი პერეირა, ფელიპე, რეიესი, დალო, ბრუნო კოსტა, ოლივერ ტორესი, ანდრე ანდრე (ოლივეირა 62), კორონა, აბუბაკარი (პასიენსია 80), ვარისი (რიკარდო პერეირა 68)

ლივერპულელთა მოტივაცია საშინაო მატჩში ისეთი არ იყო, როგორც პირველ შეხვედრაში. თუმცა, იურგენ კლოპმა მთლად აბუჩადაც არ აიგდო ლივერპულელი გულშემატკივრები და ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე.

საშინაო ფიასკოს შემდეგ სტუმრები დაცვაში უფრო ყურადღებით თამაშობდნენ, არც ლივერპულელები იწუხებდნენ თავს შეტევებით, მაგრამ პირველ ტაიმში რამდენიმე მომენტი შექმნეს და ერთხელ ძელსაც გაარტყეს ბურთი. პორტუს კი კარიუსის კართან ღირებული არაფერი შეუქმნია.

მეორე ტაიმი უფრო მხიარული იყო: სტუმრები უფრო თამამად ათამაშდნენ, ხოლო მასპინძლებმა სამიზნე გაასწორეს, მაგრამ კარგად მოთამაშე იკერ კასილიასს ვერაფერი მოუხერხეს და ნულოვან ფრეს დასჯერდნენ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — იკერ კასილიასი**

დიდი შანსია, ეს მატჩი იკერ კასილიასისთვის ბოლო აღმოჩნდეს ჩემპიონთა ლიგის ეგიდით. სავარაუდოდ, იკერი ზაფხულში დატოვებს პორტუს, მაგრამ მიუხედავად ასაკისა, ლივერპულთან ძალიან თავდაჯერებული გამოიყურებოდა. მატჩის ბოლოს კი, დენი ინგსის დარტყმის შემდეგ, ისეთი სეივი განახორციელა, ახალგაზრდობაშიც რომ მოაწერდა ხელს.

## შედეგები

6 მარტი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| პსჟ-რეალი | 1:2 |
| ლივერპული-პორტუ | 0:0 |
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა** | |
| ბირმინგემი-მიდლსბრო | 0:1 |
| ბარტონი-ბრენტფორდი | 0:2 |
| კარდიფი-ბარნსლი | 2:1 |
| ფულემი-შეფილდი | 3:0 |
| ჰალი-მილუოლი | 1:2 |
| ნორვიჩი-ნოტინგემი | 0:0 |
| პრესტონი-ბრისტოლი | 2:1 |
| ქპრ-დერბი | 1:1 |
| უენსდი-იფსვიჩი | 1:2 |
| სანდერლენდი-ასტონ ვილა | 0:3 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| პერუჯა-ბრეშა | 2:0 |
| ჩეზენა-პრო ვერჩელი | 2:2 |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | |
| ზირკა-ოლექსანდრია | 0:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქუთაისს კაქტუსმა უჩხვლიტა

**კაქტუსი-ქუთაისი 85:76**

(15:22, 18:16, 31:18, 21:20)

სუპერლიგის ლიდერი ქუთაისი დამარცხდა და მიმდინარე ჩემპიონატში მეოთხედ მოხდა, ხოლო 2018 წელს — პირველად. იმერული კლუბის დამარცხებაში ლომის წილი დაიდო კაქტუსის 19 წლის მოთამაშე დავით ლომიძემ, რომელიც 24 ქულით მატჩის ბომბარდირი და მვპ ხომ გახდა და ბოლო წუთზე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო.



შეხვედრის დასრულებამდე წუთით ადრე კაქტუსი ქულით იგებდა და ქუთაისელთა შეტევა მოიგერია. აკაკი დვალიშვილის აცილებული ბურთი კაქტუსელმა კრისტიან ჯონსონმა მოხსნა, მეტოქის ნახევარზე გადაიტანა და პასი დავით ლომიძეს გადააწოდა. ახალგაზრდა უკანახაზელმა დაუფიქრებლად სამქულიანი ესროლა და ჩააგდო, რითაც თბილისური გუნდი 80:76 დააწინაურა.

ძირითადი დროის დასრულებამდე დარჩენილ 50 წამში ქუთაისელებს მატჩის გადარჩენა შეეძლოთ, მაგრამ სტუმრებს კვლავ ლომიძის ჩინებულმა გარჯამ აურია გეგმები. სტუმართა სნაიპერმა აკაკი ლომოურმა ერთ შეტევაში ორჯერ ააცილა სამქულიანი და გუნდური მოხსნა ორჯერვე ქუთაისელებს დარჩათ. ბურთის პირით ხაზს მიღმიდან შემოტანისას, როცა საფინალო სირენამდე 35 წამი რჩებოდა, ქუთაისელ ბექა წივწივაძეს ლომიძემ ჩაუჭრა და მასზე მეტოქე უმალ დაჯარიმდა. შეხვედრის ბედიც აქ გაირკვა — ლომიძემ საჯარიმოებით მონაგარი გაზარდა, რითაც კაქტუსს გამარჯვება გაუნაღდა. საბოლოოდ 85:76 და არჩილ ჟღენტის გუნდის საამაყო გამარჯვება ლიდერთან მატჩში.

როგორც აღვნიშნეთ, ბომბარდირი 24 ქულით ლომიძე გახდა, რომელმაც მთლიანობაში 6 სამქულიანი ჩააგდო. მისი ქულები ძალიან დაეხმარა კაქტუსს მესამე პერიოდში, რომელიც თბილისურმა გუნდმა 31:18 მოიგო და ბოლო პერიოდს 8-ქულიანი ლიდერობით შეხვდა. გამარჯვებულთაგან შედეგიანი იყო დეანდრე პარკსი — 15 ქულა, 9 პასი, ხოლო ჯონ მიტჩელმა შეხვედრა 13 ქულით დაასრულა. ქუთაისში 18 ქულა და 7 მოხსნა აკაკი დვალიშვილმა მიითვალა, ხოლო 12 ქულა ჯონათან ლის ანგარიშზეა. 11-11 ქულა ჰქონდათ ბექა ბექაურსა და აკაკი ლომოურს.

**სოხუმი-დინამო 78:93**

(22:26, 19:25, 20:20, 17:22)

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერისა და აშკარა აუტსაიდერის დაპირისპირება დაძაბული ვერ გამოდგა. ფავორიტად მიჩნეულმა დინამოელებმა მორიგი გამარჯვება ისე მოიპოვეს, რომ პრობლემები არ შეჰქმნიათ.

აღსანიშნავია, რომ გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა სოხუმმა იბრძოლა, მაგრამ წარმატების მისაღწევად ძალები არ ეყო. პირველი პერიოდი მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში გაილია და დინამოელთა 4-ქულიანი ლიდერობით — 26:22 დასრულდა. მეორეში კი მოქმედმა ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამომ უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა და დიდი შესვენებისთვის 51:41 გალიდერდა.

მეორე ნახევრიდან თამაში ინერციით გაგრძელდა. სოხუმმა ერთ ეპიზოდში 6 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა, თუმცა დინამოელებმა უმალ შედეგიანი შეტევებით უპასუხეს და 80:63 დაწინაურდნენ. საბოლოოდ კი მოქმედმა ჩემპიონმა 93:75 მოიგო და მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

გამარჯვებულთაგან ხუთმა მოთამაშემ გადალახა 10-ქულიანი ზღვარი და მათ შორის საუკეთესო იყო ილია ლონდარიძე — 18 ქულა, 8 მოხსნა. 17 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა ალექსანდრე მიტროვიჩმა, ხოლო რეივენ ლის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა. სოხუმში 20 ქულით საუკეთესო იყო სერგეი პრიმაკი, ხოლო ბიშოპ დენიელსმა შეხვედრა 18 ქულით და 9 პასით დაასრულა.

**მგზავრები-ბათუმი 64:74**

(21:20, 11:14, 17:17, 15:23)

ბათუმმა ძალიან საჭირო გამარჯვება მოიპოვა. ზღვისპირელებმა სუპერლიგა მძლავრად დაიწყეს და პირველ წრეში ლიდერთა შორისაც იყვნენ, თუმცა შემდეგ ჩავარდნა ჰქონდათ და ცხრილში საკმაოდ დაბლა დაეშვნენ. მგზავრებთან მატჩის წაგება დიდ დარტყმას მიაყენებდა ზღვისპირელთა საპლეიოფო ამბიციებს, თუმცა უაღრესად დაძაბული და თანაბარი მატჩის დასკვნით წუთებში ბათუმელებმა კვანძი სათავისოდ გახსნეს.

პირველი პერიოდი მგზავრებმა 21:20 მოიგეს. ლიდერი არაერთხელ შეიცვალა, თუმცა ვერც ერთი გუნდი 3-4 ქულაზე მეტით წინ გაჭრას ვერ ახერხებდა. დიდი შესვენებისთვის უკვე ბათუმელთა ლიდერობა დაფიქსირდა — 34:32, ხოლო მესამე ათწუთეული ფრედ — 17:17 დასრულდა.

ცხადი იყო, გამარჯვებული ბოლო პერიოდში უნდა გამოვლენილიყო, თუმცა შეხვედრა ისე ჩამთავრდა, ვითარება არ დაძაბულა. დასკვნით წუთებზე ილია შემოსიუკის, სპენსერ კოლინსისა და ლეონიდ სტეპანიშინის ზუსტმა სროლებმა აჭარულ გუნდს 10-ქულიანი ლიდერობა დაუბევა, რისი აღმოფხვრაც მასპინძლებმა დასკვნით 2 წუთში ვეღარ მოახერხეს და შეხვედრაც ბათუმელთა სასარგებლოდ დასრულდა.

გამარჯვებულებს 24 ქულითა და 13 მოხსნით სპენსერ კოლინსმა ულიდერა. 14 ქულა და 7 პასი ერიკ ჩილდრესმა მოაგროვა, ხოლო ლეონიდ სტეპანიშინმა პირად ანგარიშზე 12 ქულა ჩაიწერა. მგზავრებში მონაგარი ორციფრიანი რიცხვით მხოლოდ ადრიან ბოუიმ გამოსახა, რომელმაც 25 ქულა დააგროვა.

**ოლიმპი-დელტა 80:77**

(21:16, 24:16, 16:21, 19:24)

მატჩის ფინალი დაძაბული გამოდგა. შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე ოლიმპელთა სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა ქვემოქართლელებსაც უნდა დავუფასოთ გარჯა — თემურ კანკიას გაწვრთნილმა დელტამ ბოლომდე იბრძოლა, სოლიდური ჩამორჩენაც აღმოფხვრა და ბოლო წამებზე გამარჯვებასთანაც ახლოს იყო.

მარნეულელებმა გადამწყვეტ მომენტში საბედისწერო შეცდომები დაუშვეს. პირველად საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე, როცა 1 ქულით ჩამორჩენილებმა შეტევაში ბურთი დაკარგეს, ხოლო მეორედ ნიკოლას ნილმა პოტენციურად გამარჯვების ორქულიანი ააცილა. ეს ბურთი რომ ჩავარდნილიყო, დელტა ქულით დაწინაურდებოდა და სირენამდე 1 წამი რჩებოდა, მაგრამ შემდეგ იძულებითი ჯარიმის აღება მოუწიათ და ყველაფერი იმ გუნდის სასარგებლოდ დასრულდა, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდა.

ოლიმპმა პირველი პერიოდი 24:16 მოიგო, ხოლო დიდი შესვენებისთვის უკვე 13 ქულით ლიდერობდა. ამის შემდეგ დაიწყო ქვემოქართლელთა ბრძოლა ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, რომელიც ბოლო წამებამდე გაგრძელდა და როგორც აღვნიშნეთ, მათთვის შედეგიანად არ დასრულებულა. გუნდური თამაშისა და ბოლომდე დაცვითი თამაშის ხარჯზე ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა 80:77 იმარჯვეს და საპლეიოფო ბრძოლაში პოზიციები არ დათმეს.

ოლიმპში 14 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო გეგი ბაქრაძე. 13-13 ქულა მოაგროვეს ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა მიხეილ ჭოჭუამ და რევაზ როგავამ. გამარჯვებულებს 10 ქულა მიაშველა ალექსანდრე ბოლქვაძემ. დელტაში 21 ქულით ბომბარდირი გახდა ნიკოლას ნილი, 20 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა დეანდრე რეიმ, ხოლო ლევან ფაცაციას ანგარიშზე 15 ქულა და 8 პასი დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 20 | 16 | 4 | 1696:1502 | 36 |
| 2.რუსთავი | 20 | 14 | 6 | 1635:1525 | 34 |
| 3.დინამო | 20 | 13 | 7 | 1650:1498 | 33 |
| 4.კაქტუსი | 21 | 12 | 9 | 1674:1701 | 33 |
| 5.ბათუმი | 21 | 11 | 10 | 1594:1506 | 32 |
| 6.ოლიმპი | 20 | 12 | 8 | 1561:1501 | 32 |
| 7.მგზავრები | 20 | 7 | 13 | 1537:1681 | 27 |
| 8.დელტა | 21 | 6 | 15 | 1678:1815 | 27 |
| 9.სოხუმი | 21 | 1 | 20 | 1579:1875 | 22 |

# წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მეტოქეები გაარკვია




როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. კონტინენტის პირველობას ესპანეთი უმასპინძლებს და ბარსელონაში 2018 წლის წყალბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

წილისყრას საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი რეზო ჩომახიძე და საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი დავით რურუა დაესწრნენ.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ა ჯგუფში მოხვდა და მისი მეტოქეები გერმანია, იტალია და უნგრეთი იქნებიან. პირველ შეხვედრას ჩვენები უნგრელების წინააღმდეგ გამართავენ.

თუ რამდენად გაუმართლათ ჩვენებს წილისყრაში, ამაზე ჩომახიძე საქართველოში დაბრუნების შემდეგ ისაუბრებს, ხოლო შედეგი თავად ტურნირზე გამოჩნდება.

**სხვა ჯგუფებში გუნდები ასე გადანაწილდნენ:**

**ბ ჯგუფი:** ჩერნოგორია, მალტა, საფრანგეთი, ესპანეთი;

**ც ჯგუფი:** ხორვატია, თურქეთი, ჰოლანდია, საბერძნეთი;

**დ ჯგუფი:** რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი.

## ექვსმეტრიანმა ნიანგმა ადამიანი შეჭამა



კუნძულ ბორნეოზე ნიანგმა პალმის ზეთის პლანტაციის თანამშრომელი შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ეს შემთხვევა სოფელ მარუკანგანში მოხდა. 36 წლის ანდი ასო ერანგი უგზოუკვლოდ დაიკარგა, მას შემდეგ, რაც ის მდინარისკენ გაემართა მოლუსკების შესაგროვებლად. მისი ცოლი რამდენიმე თანასოფლელის თანხლებით მის მოსაძებნად გაეშურა. მათ მხოლოდ მისი მოტოციკლი და შლოპანცები იპოვეს. მეორე დღეს მდინარის ნაპირზე ნახეს ერანგას ცხედარი, რომელსაც ფეხები და მარცხენა ხელი არ ჰქონდა.

მამაკაცის გაუჩინარების შესაძლო ადგილის მახლობლად სოფლელებმა ექვსი მეტრის სიგრძის ნიანგი შენიშნეს. ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელმა რეპტილიას ესროლა და მოკლა. მკვდარი მტაცებელი ქვეწარმავალი ნაპირზე ამოათრიეს, მუცელი გაუფატრეს და შიგნით ხელი და ფეხები აღმოაჩინეს.

## ინდოეთში ვეფხვისა და დათვის შეტაკება ვიდეოზე აღბეჭდეს



ინდოეთში ვიდეოზე იქნა გადაღებული ვეფხვისა და დედა დათვის შეტაკება, რომელმაც მასმედიის ყურადღება მიიქცია.

ვიდეორგოლი მახარაშტრას შტატში ტადობას ეროვნულ პარკში ტურისტებმა გადაიღეს. მათი თქმით, ვეფხვი სახელად მატსაკური წყალში ჭყუმპალაობდა, როდესაც მოულოდნელად დედა დათვი გამოჩნდა ბელების თანხლებით. ვეფხვმა გადაწყვიტა მათ თავს დასხმოდა, ვინაიდან ამ ადგილს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა.

მტაცებლებს შორის ორთაბრძოლა გაიმართა. საბოლოოდ დათვმა თავის ბელების დაცვა მოახერხა, ერთ მომენტში მეტოქეც კი გაქცია, თუმცა საბოლოოდ ტერიტორიის დატოვება თავადვე მოუხდა.

ადგილობრივი ეკოლოგის ანიშ ანდჰერიას თქმით, ორთაბრძოლის შედეგს ტიპიურს ვერ უწოდებს, ვინაიდან ვეფხვი უფრო ძლიერია და დათვი უბრალოდ მისმა სქელმა ბეწვმა გადაარჩინა, რომლის გამოც ვეფხვმა მისთვის ზიანის მიყენება ვერ შეძლო.

**მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი**

**სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება.**

**მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოღოს ნაკბენის დროს. მაღალი ეფექტის მისაღებად მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ – დილას და საღამოს.**

**მობ. ტელ: 599-73-48-21**

## ჩინელი გოგონა ფანჯრიდან გადახტა და გადარჩა



ჩინეთში მეხანძრეებმა სახლის მე-14 სართულიდან გადმომხტარი გოგონა გადაარჩინეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონამ თავის მოკვლა სასკოლო საშინაო დავალების შეუსრულებლობის გამო გადაწყვიტა.

ინციდენტი ფუცზიანის პროვინციის ქალაქ ფუჩჟოუში მოხდა. 12 წლის გოგონამ ორმოც მეტრზე მეტი იფრინა და ე.წ. სიცოცხლის კუბზე დაეშვა. გადმოვარდნის შედეგად გოგონა თითქმის არ დაშავებულა, თუმცა ის მაინც გადაიყვანეს საავადმყოფოში.

ჩინური სოციალური ქსელის მომხმარებლებმა გოგონას თანაუგრძნეს და შენიშნეს, რომ, როგორც ჩანს, მას სკოლაში მეტისმეტად ტვირთავენ, რადგან საშინაო დავალებების შესრულება არდადეგების დროსაც კი უხდება.

## უზარმაზარმა პითონმა ირემი გადაყლაპა



ამერიკელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს ვეფხვისებური პითონი, რომელმაც გადაყლაპა ნანადირევი, რომელიც მასზე მეტს იწონიდა. მათი თქმით, ეს ასეთი პირველი შემთხვევაა.

ბიოლოგებმა, რომლებიც ფლორიდის შტატში კოლიერ-სემინოლის პარკში მუშაობდნენ, გველი, რომლის სიგრძე 3,35 მეტრს შეადგენდა, მაშინ დაიჭირეს, როდესაც ის 16 კილოგრამიან თეთრკუდა ირმის ნაშიერს სანსლავდა. თავად პითონის წონა ორი კილოგრამით ჩამორჩებოდა მისი მსხვერპლის წონას.

დაჭერის შემდეგ პითონი შეეცადა შვლის ნუკრი ამოენთხია. მეცნიერები ვარაუდობენ, ქვეწარმავალი რომ არ შეეწუხებინათ, ის ნანადირევის მუცელში მონელებას გააგრძელებდა და შესაძლოა ეს პროცესი ექვს თვეს გაგრძელებულიყო.

## მთვრალ ამერიკელს სხვა შტატის ტაქსის გამოძახება ათასხუთასი დოლარი დაუჯდა



ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ამერიკელმა შეცდომით სხვა შტატის ტაქსი გამოიძახა. ამის თაობაზე ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

კენი ბეჩმენი მეგობრებთან იმყოფებოდა სტუმრად დასავლეთ ვირჯინიის შტატში და წვეულების შემდეგ სახლში ტაქსი გამოიძახა. მას დაავიწყდა, რომ დროებით სხვაგან ცხოვრობდა და მძღოლს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი დაუსახელა, რომელიც ნიუ-ჯერსის შტატში მდებარეობს. შტატებს შორის მანძილი დაახლოებით 500 კილომეტრია.

– გამეღვიძა და დავფიქრდი, თუ რატომ ვიმყოფებოდი მანქანაში უცნობ ადამიანთან ერთად, რომელიც არასოდეს მყავდა ნანახი? – განაცხადა ბეჩმენმა. ის კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩა, როდესაც ნახა თანხა, რომელიც მრიცხველზე ეწერა. ამ მგზავრობისთვის მას 1636 დოლარის გადახდა მოუხდა. ასეთი თანხა იმითაც აიხსნება, რომ მან გამოიძახა დიდი მანქანა, რომელშიც ექვსი მგზავრი ეტევა.

ბეჩმენი მანქანიდან არ ჩამოსულა, როდესაც მიხვდა, რომ ნიუ-ჯერსიში მიდიოდა. ტაქსის მძღოლს გზის გადასახადის ფული არ ჰქონდა, ამიტომ მას ყოველ გადასახდელ პუნქტში აჯარიმებდნენ. როდესაც ბეჩმენმა ნიუ-ჯერიმდე მიაღწია, ყველა ქვითარი გაანაღდა და მძღოლს უკან დასაბრუნებელი ფულიც მისცა.

## ჩინელი გოგონა ღობეში გაიჭედა და დაიღუპა



ახალგაზრდა ჩინელი გოგონა კისრით ღობეში გაიჭედა და დაიღუპა. ინციდენტი ხუბაის პროვინციის ქალაქ უხანში მოხდა. ავტობუსის მომლოდინე 20 წლის გოგონა საკუთარ ბარგს წამოედო და ღობეზე დაეცა, რომლის სექციებს შორის კისრით გაიჭედა. შემთხვევის ადგილზე პოლიციელები და მაშველები თხუთმეტ წუთში მივიდნენ და მათ მხოლოდ გოგონას სიკვდილი დაადასტურეს. ექიმების დასკვნით, მას საძილე არტერია გადაეკეტა.

ჩინური სოციალური ქსელის მომხმარებლები ემოციურად შეხვდნენ ახალგაზრდა გოგონას დაღუპვას და სახელმწიფოს ბრალი დასდეს იმაში, რომ მათ პოტენციურად საშიში ღობე არ შეცვალეს: რომლის სიმაღლე ერთ მეტრს აღწევს, ხოლო მის სექციებს შორის დაშორება ხელისგულის სიფართისაა.

## ამერიკელი ცეკვას ემსხვერპლა



ამერიკის ქალაქ საკრამენტოს მცხოვრები საავადმყოფოში მას შემდეგ გარდაიცვალა, როდესაც საცეკვაო მოედანზე დაშავდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით მასმედია ავრცელებს.

21 წლის მამაკაცი საავადმყოფოში თავის ტრავმით მიიყვანეს. პოლიციის მონაცემებით, ის ადგილობრივ კლუბში ცეკვის დროს დაეცა. მოგვიანებით ის მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული ვიდეო შეისწავლეს და დაადგინეს, რომ რაიმე სახის ძალადობრივ ქმედებას ახალგაზრდა მამაკაცთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 8 მარტისთვის



**ვერძი** – ნებისმიერი აგრესია გამორიცხეთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინონ. **კურო** – საოჯახო საქმეების მოსაწესრიგებლად სხვა დღე შეარჩიეთ. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. **ტყუპები** – დაიცავით ზნეობა, ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობით უკმაყოფილო ხართ. დროა, შემოსავლის ახალი წყარო მოძებნოთ. **ლომი** – ყურადღების კონცენტრაცია დაგეხმარებათ, დაკისრებულ მოვალეობას თავი სათანადოდ გაართვათ. ერიდეთ აქტიურობას. **ქალწული** – შემთხვევით ნაცნობობას ერიდეთ. საღამო ჰარმონიული იქნება. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. სამოგზაუროდ წასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. ახალი შთაბეჭდილებები ენერგიას შეგმატებთ. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში მრავალი საზრუნავი გაქვთ. ნებისმიერი კაპიტალდაბანდება სარისკოა. **მშვილდოსანი** – ბევრი საქმე დაგიგროვდათ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და თავმდაბლად იმუშავეთ. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **თხის რქა** – შემოქმედებითად აქტიური დღეა. ერიდეთ შემთხვევით გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობას. **მერწყული** – თვითრეალიზაციისათვის ძალზე შესაფერისი პერიოდია. მიიღეთ მეტი ცოდნა, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **თევზები** – რეალობას თვალი გაუსწორეთ. საქმე ხარისხიანად და სწრაფად აკეთეთ. საღამოს უთუოდ დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბალტიის ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 2. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 3. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 4. მთავარი მოედანი მილანში; 5. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 8. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟიშვილი; 9. კანონებში არსებული წინააღმდეგობები; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 14. ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

**თარაზულად:** 1. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. ბრიტანული ნამცხვარი; 9. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. კატარის დედაქალაქი; 11. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის პ.ს.ჟ.-ს ფეხბურთელი; 13. ინდივიდუალური საწარმო სოფლად; 15. ლიტერატურული თამაში – იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 17. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 18. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 19. ბალტიისპირა კურორტი ესტონეთში; 20. პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კონსული; 2. გრანიტი; 3. სტრაბიზმი; 4. უშქარი; 5. ფლეგმა; 9. „პორტუ“; 10. ამბიცია; 14. „ბუდვაიზერი“; 15. „პერგამონი“; 16. სასუქი; 19. მასტიფი; 20. „ხორუმი“; 21. ბარონი.

**თარაზულად**: 6. კონტრაგენტი; 7. მარშალი; 8. ასპენი; 11. ბოდრუმი; 12. ატომი; 13. აზურიტი; 17. სენკევიჩი; 18. „ამარკორდი“; 22. ბოლნისი; 23. ქვაწვია; 24. აფშერონი; 25. ყინწვისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „ჰუნდაი“; 2. კერი; 3. კონსტანტა; 4. ზონდი; 5. დიონისე; 8. ზამონი; 9. პარანგონი; 12. ბახალა; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად**: 1. ჰინდუკუში; 6. კოხინორი; 7. ნუსხური; 9. პრუსია; 10. რიფი; 11. პორტერი; 13. ოკაცე; 15. ლაზიკა; 17. ჰარლემი; 18. პანიკა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

# მაია ასათიანი: „ჩემი ჯანმრთელობის შესახებ გავრცელებული ჭორები საშინლად მთრგუნავს“



– მეგობრებო, არ ვარ არც მონასტერში და არც საავადმყოფოში, – განაცხადა თოქ-შოუ პროფილის წამყვანმა მაია ასათიანმა და თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ერთგულ მაყურებელს უახლესი ინფორმაცია მიაწოდა:

– უდიდეს სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ, უამრავი წერილი მომდის და თუ რამე მაძლიერებს, თქვენი თანადგომაა!

მეგობრებო, არ ვარ არც მონასტერში და არც საავადმყოფოში. ჩემი ჯანმრთელობის შესახებ გავრცელებული ჭორები საშინლად მთრგუნავს.

უმძიმესი ერთი წელი მქონდა. ერთადერთი 18 წლის ქალიშვილი უეცრად გარდამეცვალა, 23 თებერვალს წლისთავი იყო...

ცოტა ხნით შრომისუუნარო გავხდი. ახლა ძალებს ვიბრუნებ, რომ ჩემს საქმეს დავუბრუნდე. ქედს ვიხრი ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვისაც ესმის ჩემი გლოვაც და სიცოცხლეში დაბრუნებაც!

# ნავდარაანთკარის წმინდა გიორგის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა



მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნავდარაანთკარში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას და ნიშს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის, შესაბამისი ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

წმინდა გიორგის ეკლესია დარბაზული ნაგებობაა. აშენებულია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. დასავლეთის კარი ეკლესიის აღდგენის დროს ამოუშენებიათ, ძველი გადაკეთებაა. კარი შიგნიდან არქიტრავულია, გარედან კი ტიმპანითაა დასრულებული. აღმოსავლეთ და სამხრეთ კედელში თითო სარკმელია, სარკმლები გადაკეთებულია. აღმოსავლეთით შვერილი ნახევარწრიული აბსიდია, რომლის კამარა მხრებზე გადასულ თაღს ებჯინება. დარბაზის სივრცე დაუნაწევრებელია. ტაძარს ჩრდილოეთიდან გვიანი მინაშენი აქვს, რომელში გასასვლელად ტაძრის ჩრდილოეთ კედელი გაურღვევიათ. მინაშენი სწორკუთხაა და ეკლესიაზე მოკლეა. აღმოსავლეთის კედელში მცირე სარკმელი აქვს. მინაშენს ცალფერდა გადახურვა აქვს. ტაძარი ადრე შუა საუკუნეებშია აგებული.

ნიში ტაძრის ჩრდილოეთით, 10 მეტრში დგას. ისტორიულად, წმინდა გიორგის სახელობის იყო, ამჟამად კი ღვთისმშობლის სახელობისაა. აგებულია რიყის ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. აღმოსავლეთის კედელში სახატე ნიშია გაკეთებული. გადახურულია დაბალი კამარით.

ტაძრის გარშემო სხვადასხვა ნაგებობათა კვალი იკითხება.

მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი აღდგენის დროს გადაკეთებულია და აღდგენისას გამოყენებული არაა ტაძრის მშენებლობის მსგავსი მასალა, ტაძარს მაინც აქვს შენარჩუნებული გარკვეული ნიშნები, ღრმა ნახევარწრიული და შვერილი აბსიდი, ტიმპანიანი კარი, რითიც ის შეიძლება განიხილოს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

# მამუკა ლომაშვილი რუსეთის მხარდამჭერებს აკრიტიკებს



მსახიობი და რეჟისორი მამუკა ლომაშვილი რუსეთის მხარდამჭერებს აკრიტიკებს და მათ საქართველოს ისტორიის გახსენებას ურჩევს.

მამუკა ლომაშვილი:

– აბსოლუტურად მესმის რუსეთის დამოკიდებულება და რიტორიკა საქართველოზე, მაგრამ ვერანირი ლოგიკით ვერ ვხვდები იმ ქართველების საქციელს, ვინც რუსეთს აპრავებს და მის ქმედებებს იცავს...

სამარცხვინოა.... ნატოსა და ამერიკის ბაიბურში არ ვიყავით, როცა რუსეთს დაყოფილი საქართველოს რუქა ჰქონდა შედგენილი და, სხვათა შორის, ზღვარი ზუგდიდზე გადიოდა...

ისიც უნდა იცოდეთ, რომ ხრუშჩოვის პერიოდიდან იწყება ინტრიგების ხლართვა და წაქეზება აფხაზებისა, ისიც უნდა იცოდეთ, რომ როგორ ჰყავდათ დატყვევებული დარეჯან დედოფალი დიდ რუსეთში, ისიც უნდა იცოდეთ, რა დასკვნებს დებდა ჩვენი სიძე გრიბოედოვი საქართველოზე და ქართველებზე...

ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, საბაჩი იაზიკს რომ ეძახდნენ ქართულს. ყაზბეგის „ელისო“ მაინც უნდა გქონდეთ წაკითხული და ისიც, როგორ გაიტანეს ქართული ეკლესიებიდან უამრავი სიწმინდეები ჩვენმა სულიერმა ძმებმა... და ბოლოს მოგ...ანთ გეორგიევსკის ტრაქტატიცა და ბაბთაც...“

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ბუბა კუდავა: „ხშირად უნდა ვუმეოროთ, პირდაპირ და გარკვევით, რომ მოღალატეები არიან“



აცხადებს ისტორიკოსი ბუბა კუდავა და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს, არ უსმინონ იმ ქართველი ხელოვანების მუსიკას, რომლებიც მტერს უწვებიან და ფეხქვეშ ეგებიან.

**ბუბა კუდავა:**

– მათ მუსიკას არ უნდა მოვუსმინოთ,

მათ კონცერტს არ უნდა დავესწროთ,

არსად არ უნდა მოვიწვიოთ – ინტერვიუზე, ეთერში, ღონისძიებაზე...

არც უნდა გავუღიმოთ და არც „ცნობად სახედ“ ჩავთვალოთ.

არაფრად არ უნდა ჩავაგდოთ.

და ხშირად უნდა ვუმეოროთ, პირდაპირ და გარკვევით – რომ მოღალატეები არიან, რომ მტერს უწვებიან და ფეხქვეშ ეგებიან.

თორემ, თუ ჩვენს დამოკიდებულებებში არაფერი შეიცვალა, თუკი კვლავაც თაყვანისმცემლების გარემო დახვდებათ, თუ ვიძახეთ – ხელოვნება სხვაა და პოლიტიკა სხვა, თუ მათ კვლავაც რამედ ჩავთვლით, თუ ბევრი ახლობელი თუ შორეზელი პირში არ ეტყვის რაც არიან, თუ მათ კომფორტსა და კარიერაზე არ აისახება, რასაც სჩადიან საკუთარი ქვეყნის წინაშე, ასეც გააგრძელებენ. უფრო დიდი ენთუზიაზმით, უფრო აშკარად და ურცხვად!

და მშვენიერ მაგალითადაც გამოდგებიან რიგში მდგომი დამწყები გამყიდველებისთვის.

მოღალატისთვის მოღალატის დარქმევისა და შესაბამისი მოქმედებების ტრადიციებია გასახსენებელი.

ქარაფიდან გადაგდების, ცხვირის მოჭრის, ძელზე თუ ვირზე გასმის, თემიდან მოკვეთის დრო აღარაა, მაგრამ რაც ზემოთ ვახსენე, ე მაგეების ქმნას რა უდგას წინა?

# ნიკა გვარამია ევროვიზიაზე საქართველოს კრახს უწინასწარმეტყველებს



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია საქართველოს ევროვიზია 2018-ზე სრულ კრახს უწინასწარმეტყველებს.

ნიკა გვარამია:

– წელს საქართველოს ევროვიზიაზე წარადგენს ჯგუფი „ირიაო“. კვლავ უკონკურსოდ შერჩეული. დაგუგლეთ, მოუსმინეთ და თუ რამე გაიგეთ, ან რას მღერიან, ან როგორ, მეც მომიყევით. ვუსმინე და სრული კრახი გველოდება. როგორი სიმღერაც არ უნდა იმღერონ, ამ სტილში და ამ სრულიად საშუალო შემსრულებლებით, განსაკუთრებით, ის ჩინური-ფეიკი ჰამლეტ გონაშვილი რომ ჰყავთ, არავითარი პერსპექტივა არ გვაქვს.

მგონი, სერიოზულად უნდა შევისწავლოთ, საზმაუზე ვინ და როგორ იღებს ამგვარ გადაწყვეტილებებს ამ ყოვლად საშუალო და ევროვიზიისთვის არაფორმატული ბენდების და შემსრულებლების მიერ ქვეყნის გაბანძების თაობაზე.

# ანუკა მურვანიძე: „ღირს თუ არა საერთოდ რამის შექმნა და რამეზე ბრძოლა ამ ქვეყანაში?!“



ვიზაჟისტი ანუკა მურვანიძე უდავოდ ერთ-ერთი პირველია თავის საქმეში. როგორც ხელოვანი ამბობს, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ფიქრობს იმაზე, ღირს თუ არა საერთოდ რამის შექმნა და რამეზე ბრძოლა ამ ქვეყანაში?!

**ანუკა მურვანიძე:**

– იმის თქმა მინდოდა, რომ ძალიან დავფიქრდი, ღირს თუ არა საერთოდ რამის შექმნა და რამეზე ბრძოლა ამ ქვეყანაში?! მაღალ ხარისხამდე საკუთარი ხელობის მიყვანა და მაქსიმალურად შენი ენერგიის ხარჯვა იმისათვის, რომ მაღალი დონე იყოს ის, რასაც შენ აკეთებ.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ აზრი არ აქვს მაღალ ხარისხს, დონეს, დახვეწილ და ნატიფ ნამუშევრებს... მიაწებე, მიახატე, იაფფასიანად გაიხუმრე, ითამაშე, კედელზე დაჯღაპნე და რამე მარაზმი წაიმღერე... ეგაა.. ზვეზდა ხარ!! სუპერ ვარსკვლავი!! არავის არ ვაკნინებ, მაგრამ ამაზე ხმის არ ამოღება აღარ შეიძლება.

ყველა სფეროში სასწაული ხდება.. ზერო! გამონაკლისები არის, რა თქმა უნდა, მაგრამ იმდენად პატარა პროცენტითაა ეს კაი ხარისხი, რომ სანთლით საძებარია.

მე პირადად ვთვლი და ამპარტავნებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ვთვლი, რომ ეს 26 წელი სულ ტყუილად დავაკალი თავი სწავლა-განათლებას და მწარე შრომას.

ერთი რას ვიძაბები? პამადა, სტრელკას მოვხატავ ხოლმე და ეგაა.. და ნუ გრიმი ისე პაწა სისხლს მივასხავ და მორჩა... დოლჩე ვიტა!

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## სამგლოვიარო განცხადებები

თანავუგრძნობთ მწუხარებაში ეკა გოგიბერიძეს, ლელო, დალი, ტატული და დათო ხორბალაძეებს, თეა და თემურ ავალიშვილებს ჰუმანური, კეთილშობილი, გულისხმიერი ბიძაშვილის

**გოგა აბულაძის**

გარდაცვალების გამო.

*კუსუნა მზარელუა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4459 |
| ევრო | 3.0192 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3893 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3328 |

## ამინდის პროგნოზი 8 მარტისთვის








## 27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი
ტომი 14

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




## 6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 8 მარტიდან

60 ამბავი

**უცხოეთში დაკარგული ქართველები**




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




## 13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

**ქალი ჩანთაში**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**




## 15 მარტიდან

100 ამბავი

**მსოფლიო მონარქები**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## ფერმერმა ბატკანი სიკვდილისგან ღუმელში მოთავსებით იხსნა



ბრიტანელმა ფერმერმა ახლად დაბადებული ბატკანი სიკვდილისგან იმით იხსნა, რომ ის ღუმელში მოათავსა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

უილიამ ჯონსმა, ჩრდილოეთ უელსიდან, განაცხადა, რომ მას ასეთი ზომების მიღება ანომალიური ყინვების გამო მოუხდა.

– ჰაერის ტემპერატურა ნულს ქვევით ძალიან ჩამოცდა და დედა ცხვარი მის გათბობას ვეღარ ახერხებდა. ასე რომ, ბატკნის გადარჩენის ერთადერთი საშუალება მისი ოდეალაში გახვევა, კარგად დანაყრება და ღუმელში მოთავსება იყო, – განაცხადა ფერმერმა.

ბატკანმა მომუშავე კარგამოღებულ ღუმელში სამი საათი გაატარა. ფერმერის იდეა წარმატებული გამოდგა: ბატკანი გამოკეთდა და გარკვეული დროის შემდეგ ფარეხში დაბრუნდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



დილით საუზმარეულოს მაგიდასთან მჯდომ ქმარს ცოლი ეუბნება:

– ძვირფასო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ მალე 8 მარტია?

– რაა, ისევ???

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რა ბედნიერი იყო რობინზონ კრუზო.

– რატომ?

– საკუთარი კუნძული ჰქონდა, სუფთა სასმელი წყარო, ტყე საკვებად ვარგისი მცენარეებით სავსე, ჰყავდა ცხოველები, ჰქონდა პერსონალური ზღვა... იკვებებოდა ეკოლოგიურად სრულიად სუფთა პროდუქტებით. მის საკუთრებას წართმევით პრაქტიკულად არავინ ემუქრებოდა, გადასახადებს არავის უხდიდა, ტვინს არავინ უჭყლეტდა, ფულის პრობლემა არ აწუხებდა, კანონებს თავადვე ქმნიდა და ასე ცხოვრობდა 30 წელი სრულ ბედნიერებაში.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– შენ მეუღლეს რა უცნაური აქცენტი აქვს, საიდან?

– ღვინის სარდაფიდან.

●●●

პატარა გოგონები საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი უფროსი და ვისაც ცოლად მიყვება, ალბათ, როგორი ბედნიერი იქნება?

– არა, რას ამბობ. მამაჩემი გამუდმებით იძახის: „ის უბედური ყმაწვილი! ის უბედური ყმაწვილი!"

●●●

ღამით ქმარი ცოლს აღვიძებს. ცოლი ეუბნება:

– არა, არ შემიძლია, თავი მტკივა.

– მე რა ფიქრს გაძალებ?

●●●

გაბრაზებული ცოლი ქმარს უყვირის:

– ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შენ შემოგწირე!

– ნუ მაშინებ, ნუთუ, კიდევ უფრო უარესიც იქნება?

●●●

ბანკის ორი თანამშრომელი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გასაგებია, რომ ქურდმა სეიფიდან ფული და ძვირფასეულობა გაიტანა, მაგრამ მმართველის ცოლი რატომღა წაიყვანა?

– რატომ? იმიტომ, რომ მმართველმა აღარ ეძებოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## 1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

**სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## რაკიტიჩმა შესაძლოა სეზონის ბოლოს ბარსელონა დატოვოს



ბარსელონას ხორვატმა ფეხბურთელმა ივან რაკიტიჩმა შესაძლოა სეზონის ბოლოს ბარსელონა დატოვოს. ამის მიზეზი ის არის, რომ ბარსელონაში ფილიპე კოუტინიო გადმოვიდა, რომელიც მომავალ სეზონში, სავარაუდოდ, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნება, რაკიტიჩი კი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს.

თვითონ ხორვატი ფეხბურთელი აცხადებს, რომ ბარსელონაში ბედნიერია და წასვლას არ აპირებს, თუმცა მომავალში შესაძლოა ყველაფერი შეიცვალოს.

რაკიტიჩი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ ბარსელონას ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია.

## არსენალის ფანები ვენგერის წასვლას აქტიურად ითხოვენ



არსენალის ფანების ერთ-ერთმა ორგანიზაციამ არსენ ვენგერის წასვლა მოითხოვა და ამის გამო მისი წევრები არსენალის გენერალურ დირექტორსაც შეხვდებიან.

არსენალმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო და ამ გუნდის უამრავი გულშემატკივარი აქტიურად ითხოვს ვენგერის თანამდებობიდან განთავისუფლებას.

მიუხედავად ამისა, თვითონ ფრანგი სპეციალისტი წასვლას არ აპირებს, ამიტომ ბევრი რამ არსენალის ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული.

ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვენგერს სეზონის ბოლოს გაათავისუფლებენ.

## სალაჰმა საბავშვო საავადმყოფოს 500 ათასი ფუნტი გადაურიცხა



ლივერპულის ფორვარდმა მოჰამედ სალაჰმა ეგვიპტეში ერთ-ერთ საავადმყოფოს 500 ათასი ფუნტი გადაურიცხა. ამ ფულით საავადმყოფოს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს ყველა საჭირო მოწყობილობა, რაც აქამდე არ ჰქონდა.

სალაჰი საკმაოდ ხშირად ეწევა ქველმოქმედებას და ის კიბოთი დაავადებულ ერთ-ერთ ბავშვსაც დაეხმარა ეგვიპტეში.

მოჰამედი ამ თემებზე ხმამაღლა საუბარს ერიდება და სიკეთეს ჩუმად აკეთებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად;** 1. შექსპირის ტრაგედია; 2. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 3. მთიანეთი ავღანეთში; 4. ღვინის ვაჭარი ძველად; 5. მილების სისტემის მქონე დიდი ზომის კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 10. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 14. დამუხტული ნაწილაკების ამაჩქარებელი დანადგარი; 15. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 19. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნის კახეთში; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. მთიანეთი აფრიკაში;

**თარაზულად:** 6. კოსმეტიკურ საშუალებათა ერთობლიობა; 7. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 8. ქართული ტელეკომპანია; 11. ზღვის სიღრმეში მოპოვებული წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 12. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი კურდღელი; 13. პოპულარული, ნილოსისპირა კურორტი ეგვიპტეში; 17. იტალიის ეროვნული გმირი; 18. ეკლესიის მნათეს ძველი სახელწოდება; 22. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 23. სითხის გამოსახდელი ლაბორატორიული ჭურჭელი; 24. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 25. კორიდის ცხენიანი მონაწილე.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

